● თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა გამოაქვეყნა დისტანციურად მართვადი უპილოტო საფრენი აპარატებით ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში წარმატებით ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის რეზიუმე. 13 ოქტომბერს იუკესკოვის რაიონის ეანდარმერის სამმართველომ სოფლის

მცხოვრებლისგან ინფორმაცია მიიღო, რომ მისი ძმა გამოსასყიდის მიღების მიზნით ორმა შეიარაღებულმა პირმა გაიტაცა. გამტაცებლებმა ფული მიიღეს და ამის შემდეგ მათ ყოველ ნაბიჯს პაერდან უპილოტო აპარატები აკონტროლებდნენ, რის საფუძველზეც ტერორისტთა ადგილსამყოფელი დადგინდა და დაკავებაც მოხერხდა.

● შეიარაღებულ ძალებში შეიქმნა კიბერდანაშაულებთან ბრძოლის ქვედანაყოფი. ასევე მზადდება კიბერდანაშაულებთან ბრძოლისთვის საჭირო კანონორეაქტი.



სამხედრო მშენებელი დარიალის პოლიგონზე ვარჯიშის დროს

რუსეთის სახმრეთის სამხედრო ოლქი

● 23 სექტემბერს საღამოს კრასნოდარის მხარეში სასწავლო-საწვრთნელი ფრენის დროს მოიერიშე **Cy-25** ჩამოვარდა. მფრინავი დაიღუპა.


● ამჟამად ოლქის შემადგენლობაში 3 მოტომსროლელი ბრიგადაა, რომლებიც 100%-ით კონტრაქტით მოსამსახურეებით არიან დაკომპლექტებული. სამივე ბრიგადა ჩქრნეთშია დისლოცირებული. მიმდინარე წელს კონტრაქტით სამსახური ოლქში 6 ათას 500-მა კაცმა ისურვა. წლის ბოლომდე საკონტრაქტო სამსახურისთვის 9 ათასი კაცის შერჩევაა დაგეგმილი.

● 4 ოქტომბერს სამხრეთის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად გენერალ-ლეიტენანტი ანდრეი სერდუკოვი დაინიშნა, რომელიც მანამდე ამავე ოლქის სარდლის მოადგილე იყო.

● 15 ოქტომბერს ჩრდილო ოსეთში დარიალის პოლიგონზე სამხრეთის სამხედრო ოლქის 400-ზე მეტი მშვერავის ორთვიანი მომზადება დაიწყო, რომლის დროსაც სამხედროები 1,5-2,5 კმ სიმაღლეებზე სპეციალურ სამთო-საბავირო გზას გამოიყენებენ.

● მიმდინარე წლის დასაწყისიდან ჩქრნეთის რეს-პუბლიკაში დისლოცირებული ორი მოტომსროლელი ბრიგადა კონტრაქტით მოსამსახურე 700-ზე სამხედრო მოსამსახურეთ შეიქვს.

● 22 ოქტომბერს როსტოვის ოლქის ერთ-ერთმა



● 17 ოქტომბერს თურქულმა გამანადგურებლებმა პროვინცია პატაის თავზე სირიის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავს ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის საშუალება არ მისცეს.

● 18 ოქტომბერს ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა მუამერ გოლერმა უარყო ინფორმაცია სირიის საზღვარზე დამცავი კედლის მშენებლობის შესახებ. მინისტრის თქმით, თურქეთ-სირიის საზღვარზე შენდება დაბრკოლებები, რომლებმაც საზღვრისპირა დანაშაულ ტერიტორიებზე თურქეთის მოქალაქეთა შესვლა უნდა აღკვეთოს.

● თურქეთი კავშირის მე-3 თანამგზავრის **Turksat 5A**-ს გაშვებასა და ექსპლუატაციაში მიღებას 2016 წლისთვის აპირებს. მისი დაპროექტება უახლოეს მომავალში დაიწყება, ხოლო დაშნადება კი მომავალი წლიდან დაიწყება. თურქულ პირველი მხვერავი თანამგზავრი **RASAT**-ი ორბიტაზე 2011 წელს გავიდა. ასევე თავდაცვითი მიზნებისთვის გაუშვეს ჩინური კოსმოდრომიდან 2012 წლის 18 დეკემბერს მე-2 თანამგზავრი **Gokturk-2**.

● გამოცემა **Taraf**-ის ინფორმაციით, აშშ-მა შეაჩერა ხელშეკრულება თურქეთისთვის 10 უპილოტო საფრენი აპარატის **MQ-1 Predator**-ის მინოდებაზე იმის გამო, რომ ანკარამ თიერანს ისრაელის დახვეწვაზე "მოსადზე" მომუშავე 10 აგენტი გასცა. თურქეთის დახვეწვის შეფხმა ხაკან ფიდანმა ირანელ კოლეგას მიანოდა მონაცემები იმ ირანელების შესახებ, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე "მოსადის" აგენტებს ხედავდნენ.

● გენერალური შტაბის შესაბამისი ბრძანების გამოსვლის შემდეგ შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზაციის პირველი ეტაპი 2014 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო და ის 70 ათას სამხედროს შეეხება, — განაცხადა ვიცე-პრემიერმა ბიულენთ არინჯმა.

ირანი

● როგორც ჩანს, მოსკოვი და თიერანი ახლოს არიან საჰაერო თავდაცვის კომპლექს **C-300**-თან



ირანის „პირთულ პროვინციები“ მიეკუთვნება ბუშირი, სადაც ქტომური, ელექტროსადგურია აგებული

დაკავშირებული პრობლემის განმუხტვასთან. ირანი, ალბათ, უარს იტყვის კომპლექსის მიუწოდებლობის გამო რუსეთისგან 4 მლრდ 200 მლნ დოლარის მიღებაზე, ხოლო მოსკოვს კი მოლაპარაკებათა გააქტიურებით ამ პრობლემის დაძლევის იმედი აქვს.

● 20 ოქტომბერს ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოადგილემ, კონტრადმირალმა სიაევუმ ჯარეშმა განაცხადა, რომ ადენის ყურეში ირანულმა სარაკეტო ფრეგატმა **Sabalan**-მა და სამხედრო ტანკერმა **Kharg**-მა რამდენიმე საათიანი სროლით მეკობრეთა გემები აიძულეს, არიით დატვირთულ ირანულ ტანკერზე შეტევა შეეწყვიტათ.

● ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მეთაურის, გენერალ-მაიორ მოჰამად ალი ჯაფარის თქმით, ირანის სპეცსამსახურებმა ქვეყნის საზღვრით და აღმოსავლეთ რეგიონებში ტერორისტი-კამიკადების მომზადებული 11 ტერორისტული აქტის აღკვეთა შეძლეს.

● 21 ოქტომბერს ირანში ვიზიტად მყოფ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლს, გენერალ-ლეიტენანტ ვიტორ ბონდარეცს, ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის აეროკოსმოსური ძალების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა ამირ ალი ჰაფიზადეშმა ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატ **Scan Eagle**-ს ანალოგი გადასცა, რომელიც ირანის ერთ-ერთ სანარმოში დაშნადდა.

● 23 ოქტომბერს ლონდონში შეხვედრავზე სირიის მებრძოარმა 11 ქვეყნის წარმომადგენელმა თიერანს, „ქუზბოლასა“ და სხვა დაჯგუფებებს სირიიდან ბოეიკთა გამოყვანის თხოვნით მიმართა.

● ირანის სამოქალაქო თავდაცვის უფროსის, ბრიგადის გენერლის გოლამ-რეზე ჯალაღის თქმით, მისი სამსახურისთვის პრიორიტეტულია „პირთული პროვინციები“ მარკაზი, ბუშირი და ისპაჰანი. პირთული ობიექტები ქვეყნის 12 პროვინციაშია განლაგებული და მთავარ საფრთხეებდ ტერაქტები, დიფერსიები და პირთული ნარჩენების გაფრთვა განიხილება. მან ასევე ისაუბრა კიბერშეტევებზე და განაცხადა, რომ ამ საფრთხის ასაცილებლად მუშაობა უქვე მიმდინარეობს.



თურქული პერსპექტიული გამანადგურებელი TF-X-ი

სირიის ომის „კავკასიური“ შტრიხები

საქართველოს ახალი გამოწვევა ელის



სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომმა უკვე მიიღო „ცივილიზაციური“ ელფერი და სრულმასშტაბიან ლოკალურ ომში გადაიზარდა.

ლოკალურ ომს კი შემდეგი განმარტება აქვს ომი, რომელიც მცირე ტერიტორიულ რაიონში (რეგიონში) მიმდინარეობს შეზღუდული სამხედრო-სტრატეგიული მიზნით და რომელსაც ანარმობებს ერთი სახელმწიფო (სირია) ლიმიტირებული შეიარაღებული ძალების მეშვეობით ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ (შბედეულობაშია სირიის გაერთიანებული ოპოზიციის ძალები და აგრეთვე აშშ, თურქეთი, საუდის არაბეთი, საფრანგეთი და სხვ.).

ასეთი კლასიფიკაციით ლოკალური ომი ახლო აღმოსავლეთში შესაძლოა დახასიათდეს იქ განვითარებული მოვლენების ჩამონათვალის მიხედვით: ეგვიპტის „არაბული გაზაფხული“, პალესტინა-ისრაელის ურთიერთობის დაძაბვა ლაზის სექტორში და ბოლოს სირიაში მიმდინარე საომარი მოქმედებები, რომელშიც მონაწილეობს ირანის ისლამური რევოლუციის გუმავთვა კორპუსის ოთხთასიანი საექსპედიციო კონტინგენტი, სირიის მეზობელი ლბანის მმართველი პოლიტიკური ძალის „ჰეზბოლას“ ფორმირებები, ლაზის სექტორის მმართველი „ჰამასის“ რაზმები, კავკასიიდან და სხვა რეგიონებიდან ჩასული ათიათასობით უცხოელი მეზრძოლი.

სირიის ომში იკვეთება „კავკასიური“ შტრიხებიც. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვასული საუკუნის 90-იან წლებში სირიის ფაქტორმა, უფრო სწორად, მოსკოვისა და დამასკოს სტრატეგიულმა თანამშრომლობამ დიდი როლი ითამაშა, რუსეთის ფედერაციის მამინდელი ხელისუფლების მიერ ე. წ. „კავკასიური პოლიტიკის“ შემუშავებაში. მაგალითად, სირიის სამხედრო დაზერვის მონაწილეობა 1992-1993 წლის აფხაზეთის ომში, პრინაკოვის პირადი კონტაქტები ასაღის რეგიონის ხელმძღვანელებთან, აჰმად და რამზან კადიროვების ადმინისტრაციაში სირიულ მრჩეველთა ჯგუფის აქტიური მონაწილეობა ვინმე სისანის მეთაურობით და ა.შ.



ეს საკითხი ცალკე განხილვის საგანია. ამჯერად საინტერესოა ყურადღების გამახვილება იმ გარემოებაზე, რომ დღევანდელი მონაცემებით უკვე ასობით თუ ათასობით დაქირავებული მეზრძოლი თუ იდეოლოგორად მოტივირებული ისლამისტი კავკასიის რეგიონიდან სირიის ლოკალური ომის მონაწილეა.

კავკასიელი ისლამისტების ფაქტობრივი ლოზუნგია, ალბათ, ასეთია: „ყველა კავკასიელი ისლამისტი, გაერთიანდით სირიაში“.

ჯერ კიდევ 2013 წლის ივნისში კავკასიის სიერცეში, მათ შორის სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მოქმედმა „კავკასიის ისლამური ემირატის“ მეთაურმა დოკუ უმაროვმა თავის ერთ-ერთ ვიდეოგამოსვლაში განაცხადა, რომ კავკასიელი მოჯაჰედები გლობალურ ჯიჰადს, ანუ „ალ-ჯიჰადს“ საერთაშორისო ტერორისტულ ქსელს შეუერთდებიან.

ამიტომაც ვასაკვირი არ არის, რომ სირიაში კავკასიური ნარმოშობის ისლამისტი მეზრძოლები ჩაედინენ და

ილამური წინააღმდეგობის ფრონტის სამხედრო დაჯგუფებათა რიგებში იბრძვიან. არსებული მონაცემებით მათ შორის სამ ათეულამდე ქისტია.

ამჟამად სირიის ანტიასადურ ძალებში დაახლოებით 100 ათასზე მეტი მებრძოლი და საერთაშორისო დონეზე მოქმედი 21 ისლამისტური დაჯგუფებაა (მათ შორის „ალ-ქაიდა“, „მუსლიმანი მემბი“, „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო“, თქირქი-ი-თალიბანი პაკისტანი“, „ჯაბჰათი ან-ნუსრა“ და ა.შ.) გაერთიანებული.

სხვათა შორის, კავკასიელი ისლამისტები ახლო აღმოსავლეთსა და სირიაში ისა უმაროვსა და მოვლად უღელგოვს გადაჰყავდათ.

დოკუ უმაროვის (ამგამინდელი „კავკასიის ისლამური ემირატის“ მეთაური და კავკასიელ ისლამისტთა ლიდერი) ძმა, ისა უმაროვი, თავის ძმა აჰმად უმაროვ-

თან ერთად ფიჯუორიბდა 2012 წლის ზაფხულში ე. წ. „ლოპოტის ოპერაციის“ მიზნადგებაში, ხელყო მოვლად უღელგოვი „კავკასიის ისლამური იმარათის“ „საინჟინერო-მაციო სამსახურის“ უფროსად ითვლებად და ამჟამად კატარის დედაქალაქ დოჰაში საზღვარგარეთ მოქმედი კავკასიის ემირატის საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრს ხელმძღვანელობს.

სირიაში მოქმედ იმ ისლამისტურ დაჯგუფებათა რაოდენობა, რომელთა რიგებშიც კავკასიელი მოვაჰედები იბრძვიან, ბევრი არ არის, მაგრამ ისინი დიდი გავლენით სარგებლობენ და კარგი მებრძოლები არიან. ამას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ სირიაში კავკასიელი მუჰაჯირების, ანუ ჰერქეზულ-ვინანზური დიასპორა სირიის მოსახლეობის საკმაოდ სოლიდურ ნაწილს შეადგენს და მათ შორის აფხაზური წარმომავლობის ეთნიკური მოსახლეობაც იცვლისხმება.

ამ ისლამისტური დაჯგუფებებიდან გამოსაყოფია: ერაყისა და სირიის (შამის) ისლამური სახელმწიფო, ვეი-ილ-მუჰაჯირინ ვალ-ანსარი (მუჰაჯირების თავისუფალი არმია) და ჯაბჰათი ან-ნუსრა (ნუსრას ფრონტი), რომელიც 2013 წლის 23 იანვარს შეიქმნა და სირიაში „ალ-ქაიდას“ დამრტყმელ დაჯგუფებას წარმოადგენს.

სირიის გაერთიანებული ისლამური ფრონტი იყენებს ბრიგადა-ბატალიონ-ასეულის საშაფეხურიან სტრუქტურას.

ბრიგადა — 5-6 ბატალიონისგან შედგება, ხოლო თითოეული ბატალიონი 250-დან 900-მდე მებრძოლს ითვლის, თუმცა ეს რიცხონობა მუდმივი არ არის და ხშირად იცვლება.


ისლამისტურ დაჯგუფებათა საველე მეთაურებიც დიდი გავლენისა და მაღალი სამხედრო-პოლიტიკური ლიდერის სტატუსის მქონე პირებს წარმოადგენენ. მათგან გამოიყოფა სამი საველე მეთაური, ანუ ამირა:

— ამირ აბუ ომარ ალ-შამანი (სავარაუდოდ თარხან ბათირაშვილი) — წარმოშობით ქისტია და „ერაყისა და



მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ისლამისტი სირიის სამოქალაქო ომში მონაწილეობას წმინდა საქმედ თვლის





ამირ აბუ ომარ
„ლომოტის“ წარმოშობით
ქისტრი უნდა იყოს

სირიაში გაივ ზენა. „მუჰაჯირების თავისუფალი არმიის“ ერთ-ერთი ლიდერია და მის დაქვემდებარებაშია დაახლოებით 3 ათასამდე მებრძოლი; ერ. ქ. 12.5.2015

— ამირ სიფულა შიშანი — წარმოშობით ქისტანელი (სავარაუდოდ, საიდუღევი). იგი იყო „კავკასიის ისლამური ემირატის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამორჩეული საველე მეთაური. სწორედ მან გამოაცხადა 2007 წელს ამ ისლამისტური გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა. სირიაში „თავისუფალი მუჰაჯირების არმიის“ სპეციალური დანიშნულების ბრიგადის მეთაურია და, სავარაუდოდ, 2 ათას 500 მებრძოლი ჰყავს.

ზემოთ დასახელებულ სამ საველე მეთაურს შორის ურთიერთობა არცთუ მარტივია, მაგრამ ისინი სტრატეგიული მოკავშირეები არიან და „კავკასიის ისლამურ ემირატთან“ მჭიდრო კავშირი აქვთ.

ბოლო პერიოდში ამირ აბუ ომარ აღ შიშანს სხვა მეთაურებმა ე.წ. „ლომოტის ოპერაციაში“ ისლამისტური მებრძოლების ლაღატი და საკუთარი მებრძოლების უფურადღებოდ მიტოვება დააბრალებს. ეს ფაქტი ყურადსაღებია, შეიძლება დაეასკვნათ, რომ იმ ოპერაციაში სირიაში მყოფი მებრძოლებიც მონაწილეობდნენ.

როგორც ჩანს, „ლომოტის ოპერაციის“ ერთ-ერთი მიზანი იყო ე.წ. „სატრანზიტო კორიდორის“ გაჭრა საქართველოს გავლით ჩრდილოეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის საბოლოო პუნქტით სირიაში. ლონდონში მოქმედი იჩქერია-ჩენევის რესპუბლიკის მთავრობის (ხელმძღვანელი ამჟამად ზაკევი) მიერ შექმნილი სპეციალური საგამოძიებო კომისიის დასკვნით, რუსეთის სპეცსამსახურებმა ვანო მერაბიშვილის მემკვიბით მოახერხეს ამ ოპერაციის ჩაშლა. თუმცაღა სატრანზიტო კორიდორის საკითხი დროებით გადაიდო, სირიის ლოკალური ომის უფრო ინტენსიურად წარმართვის შემთხვევაში „კორიდორის“ ამოქმედება კვლავ აქტუალური გახდება, რასაც ხელს უწყობს სირიის მიმართულეებით „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ გააქტიურება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველო კვლავ ახალი პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დდგება.

მამუკა პარპიძე, ვახტანგ მაისია

სირიის ისლამური სახელმწიფოს“ ჩრდილოეთ ფრონტის სარდალია, პასუხისმგებელია ალემოსა და დამასკოს მიმართულეებზე წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებზე. მისი ფორმირებები დაახლოებით 5-8 ათასამდე მებრძოლს აერთიანებს;

— ამირ აბუ ალ-ბანატი — წარმოშობით დაღესტნელია (სახელი და გვარი უცნობია) და ადრე დაღესტნის პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმში მსახურობდა. შემდეგ „დაღესტნური ჯამაათის“ მხარეს გადავიდა და ჩრდილოეთ კავკასიაში იბრძოდა. „კავკასიის ისლამური ემირატის“ ხელმძღვანელობის დაფალებით



სირიაში ვინც
ემირატის ახლა ადგილი
განარკვევი არ არის



ბრალდებები რეალურია თუ „კუდიანებზე ნადირობა“ დაიწყო?

საქართველოს პოლიტიკური სისტემა მძიმედ არის ავად. ამაზე თუნდაც ორ ასეულზე მეტი რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიისა და ორ ათეულზე მეტი პრეზიდენტობის ამბიციის მქონე პოლიტიკური ლიდერის არსებობა მეტყველებს.

ერთი ბენო ქვეყნისთვის ეს ნამდვილი კატასტროფაა! იმიტომ, რომ რაც უფრო დიდი სიჭრელეა პოლიტიკურ სექტორში, სექცსამსახურისთვის (ჩვენი და უცხო ქვეყნისაც) უფრო იოლია იქ შეღწევა და აგენტურული ქსელის შექმნა.

პოლიტიკური პარტიების სიმრავლეს და სიჭრელეს კიდევ აიტანდა კაცი, რომ არა ერთი დამაფიქრებელი გარემოება – ვიცით კი ვინ აღინანსებს და რეალურად ვინ დგას რომელიმე პოლიტიკური ძალის უკან?

ხშირად თვით პოლიტიკელთაგანაც არ იცის, თუ საკუთარი მოქმედება-უმოქმედობით ვის ნისქელიზე ასხამს წყალს. საინფორმაციო საშუალებებით თუ პირად საუბრებში ხშირად გაიგონებთ: ეს და ეს ამა და ამ ოპოზიციურ პარტიაში მეგ ზავნილია და კონკურენტი პარტიის (ან ხელისუფლების) სასარგებლოდ ჯაშუშობსო. საინტერესოა, აქვს თუ არა საფუძველი ამგვარ

მოსაზრებას და საზოგადოდ, რამდენად კანონიერია აგენტურის ჩანერგვა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში?

პოლიტიკურ პარტიებში ჩანერგილი აგენტების თემა მაშინ ხდება განსაკუთრებით აქტუალური, როდესაც სხვადასხვა პარტიის ლიდერები არჩევნების წინ ან არჩევნებში დამარცხების შემდეგ ერთმანეთს „კრემლის“, „ამერიკის“, „ზიმბაბუეს“ ან კონკურენტი პარტიის აგენტობას აბრალებენ.

იქნებ ზოგიერთი არის კიდევ? იქნებთან და ეს გასაკვირი არც უნდა იყოს — ბევრი ქვეყანა ცდილობდა და ცდილობს საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში, ისევე როგორც ბიზნესელიტაში, მასშედიანში, სამეცნიერო წრეებში და ა. შ. საკუთარი დასაყრდენი მკაფედეს.

ერთი ნუთით წარმოიდგინეთ, რა რუდუნებით ზრდიდნენ ჰონიერულ-კომკავშირული ასაკიდან ან პრესტიჟულ უცხოურ უნივერსიტეტებში სწავლისას მომავალ „გაულების აგენტებს“, რამდენი დრო, ენერჯია და ფულია დახარჯული მათზე, მათ პოლიტიკურ და სამეცნიერო კარიერაზე, „ბიზნესნარმატებებზე“ — მათაც ხომ უნდა გაამართლონ იმედი.





თბილისის საკრებულოს არჩევნების შემდეგ სააკაშვილსა და ნათელაშვილს შორის გაირივება შედეგი

თას. არჩევნების წინა პერიოდში მასობრივად ხდებოდა ჩვენი კომისიის წევრების კომისიიდან და პარტიიდან ამოშლა. იმ ადამიანების ამოყრა, რომლებიც მათთვის მიუღებელი იყვნენ... შალვამ გვითხრა, პარლამენტში რომ გავსულიყავით, პირობა მჭონდა დადებული, მხარი ვანი მერაბიშვილის გაპრემიერებისთვის დაგვეჭირაო. თუ გავიდოდით პარლამენტში და პრემიერ-მინისტრობის კანდიდატები იქნებოდნენ მერაბიშვილი და ივანიშვილი, ჩვენ მხარი მერაბიშვილისთვის უნდა დაგვეჭირა აუცილებლად. როგორც კი აღმოვაჩინეთ, რომ პარტიის ლიდერი „ნაციონალური მოძრაობის“ „მეხამრდის“ როლი იმყოფებოდა და „ნაციონალების“ კარნახით და დირექტივებით მოქმედებდა, იქ გაქურება უკვე შეუძლებელი იყო და მაშინვე წამოვედით“.

თავად შალვა ნათელაშვილმა პარტიამ განხეთქილება ბიძინა ივანიშვილს დააბრალა და განაცხადა, რომ პრემიერი ივანიშვილი ფულისა და სუცესამსახურის საშუალებით ცდილობდა მისგან უმართავი და დაუმორჩილებელი ლეიბორისტული პარტიის დაშლას ან დისკრედიტაციას. ის კონკრეტულ თანხას — 5-7 მილიონ დოლარს ასახელებს.

ფულის სენი არა აქვს, განსაკუთრებით პოლიტიკაში, მეორამ თუ შეტყვი ვინ გაფინანსებს — მაშინ გატყვი ვის ემსახურები



ლეიბორისტების ლიდერს „ნაციონალების“ ხელი-სუფლების ზოგიერთ წევრთან გაირივებაში ცეზარ ჩოჩელიც ადანაშაულებს.

ქვემოთ ვთავაზობთ მცირე ამონარიდს მისი ინტერვიუებიდან: „მაგ პერიოდში (ივლისისხმება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები. — ბ. ა.) მოხდა ჩვენი პირველი დაპირისპირება. ჩვენ მაშინ შევთანხმდით, რომ ნათელაშვილს არ უნდა დაეყენებინა თავისი კანდიდატურა, თუ უნდოდა, რომ ოპოზიციურად განწყობილ კანდიდატს მოეგო.“

ნათელაშვილი პირველად მაშინ გაურიგდა ხელისუფლებას და დაეყოყნა კანდიდატურა... ის, რაც ბოლო პერიოდში ხდებოდა, ეს მარტო შალვას იდეები არ იყო.

ჩემი აზრით, მას რაღაც დონის სახელმწიფო მოხელეები და ჩინოვნიკები უწყობდნენ ხელს... ვინ იყვნენ ეს ადამიანები? ალბათ, ძალიან მალე ეველფერის თავისი სახელი დაერქმევა და ზუსტად მეცოდინება... ვინ აქეზებდა და ვინ აფინანსებდა ნათელაშვილს“.

ორი წლის წინ კი „ქართუ ფაუნდამ“ ნათელაშვილის სახელზე ღია წერილი გაავრცელა, სადაც აღნიშნული იყო: „თქვენი ბრალეულობა ხომ სინამდვილეში მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ თქვენი სუსტი ნებისყოფის გამო სინუნქეს ვერ სძლიეთ და როგორც ამობენ, ერთხელ აიღეთ ფული იქ, სადაც არ შეიძლებოდა (რუსეთის სუცესამსახურების თანამშრომლებისგან, არჩევნებისთვის ავტოლების გაყიდვით და სხვ.). შესაძლებელია, ეს გაიმეორეთ კიდევ ერთხელ ან რამდენჯერმეც“.

არ ვიცი, რა მტკიცებულებები აქვთ ამის გამცხადებლებს, თუმცა მართლაც რომ მიმიმე ბრალდებებია. ვიმედოვნებთ, მეორე მხარე ამას უპასუხოდ არ დატოვებს.

„აბემაბის“ ბამბოვანა ქსაროზსლამბოთა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა ინტერვიუებისა და განცხადებების საფუძველზე შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოში მოქმედი პარტიები შევზავნილი ავტენტურით არის საეეს.

არც პოლიტიკილტა და აღმასრულებელი ხელისუფლება განიცდის აგენტურის ნაკლებობას... ერთი სიტყვით, „მხიარული“ ცხოვრება გვაქვს.

„აგენტების“ გამოვლენის უმნიშვნელოვანესი თემა ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებისთვის უკვე მომგებიან და კარგად გასაყიდ „საქონლად“ იქცა. ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა ჯერ კიდევ 2007 წლის მაისში „კა-გე-ბუს აგენტების სიების“ ბეჭდვა დაიწყო.

თავადვე აღიარებდნენ, რომ აგენტების მონაცემების ქსეროასლები „შემოუგდეს“ (?). მათ კი აჯახებს და სენსაციური სათაურით: „კა-გე-ბუს აგენტები, ძრწოდეთ! თქვენი ვინაობა ცნობილია“, გაზეთის მთელ გვერდებზე, კაცმარ იცის, ვისგან „შეგდებულ“ გაურკვეველი სიები დაბეჭდეს. მათი თქმით, სუკ-ის აგენტთა სიის გამოქვეყნებას (ლესტრიურებას) იწყებენ“. თან ირწმუნებოდნენ: „ამ აგენტების მეტსახელების უკან ცნობილი პირები იმალებიან და არა მარტო მათი ვინაობა ჩვენთვის ცნობილი, არამედ იმათი ვინაობაც, ვინც ისინი აგენტებად გადაიბირა“.

იმავე გაზეთმა ახლახან „100 ქართული კა-გე-ბუს აგენტის(?) სიის“ ბეჭდვა დაიწყო. „სიები“ თითქმის ადრინდელის იდეტურია!

თითი გაზეთში დაბეჭდილ „სიებში“ ინტერესი ცნობა (ეროვნება, დაბეჭდვა, პარტიულობა, განათლება, სამუშაო ადგილი გადაბირების დროს და გადაბირების თარიღი), რომ ბევრი ე. წ. აგენტის“ ვინაობის დადგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

დიდი შერლოკოლმოსობა არ უნდა იმის დადგენას, თუ ვინ იყო აგენტი, მეტსახელად „ედუარდი“, რამდენი უზბეკი ეროვნების პარტიის წევრი მუშაობდა საქართველოს პოლიტიკეტიკური ინსტიტუტის სამხედრო კათედრის მასნაღებულად 1986 წლის ივლისში, რომ მისმა თანამშრომლებმა აგენტი „ედუარდში“ ვერ ამოიცნო?

მეორე ქართულმა გაზეთმა უფრო დიდი სენსაცია ააგორა და „ქართულ ოცნებაში“ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის „აგენტების“ „დამადასტურებელი დოკუმენტების“ გამოქვეყნება დაიწყო.

კუდ-ის აგენტებად მოხსენიებულნი არიან „ქართული ოცნების“ ლიდერები: დ. საგნელიძე, ზ. ქუცნაშვილი, ი. იმერლიშვილი და სხვ., დასტურად კი გამოქვეყნდა შემდეგი დოკუმენტების ქსეროასლები: კუდ-ის ოპერატიული თანამშრომლის „ცნობა“ გადაბირების შესახებ და „გადაბირებულების“ თანხმობა თანამშრომლების შესახებ.

„აგენტების“ მეტსახელებისა და „თანამშრომელთა დოკუმენტების“ ქსეროასლების გამოქვეყნებით დაედაგვენთ კი სიმართლეს?

რა კრიტერიუმებით შემონდა და რომელი კრიმინალისტიკური ექსპერტით დადგინდა, რომ ეს ქსეროასლები სარწმუნოა და რა ფუყით უდანაშაულობის პრეზუმეციას?

სექცსამსახურების აგენტურასთან დამოკიდებულების ეს ფორმა ამკარად მცდარი და მოულებელია.

მაქსიმალურად მონესრიგებული სექცსამსახურების არქივების გამოქვეყნებაც კი უამრავ მორალურ-პოლიტიკურ პრობლემას შექმნის. ამიტომ ამგვარი „ქსეროასლების“ პერში აფრიალება, საზოგადოების ერთიანობასა და სიმშვიდეს ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს. სამწუხაროდ, ამ გზით სიმართლეს ვერ დავადგენთ.

ვის აქლავს ხელს ქოსი?

სად არის ვარანტია იმისა, რომ ბევრი პოლიტიკოსი თუ ჟურნალისტი თავად არ არის „დავერბოკებული“ და უცხო ქვეყნების სექცსამსახურებისგან არ იღებს მოქმედების ინსტრუქციებს?

სამაგიეროდ დაძაბულობა-ქოსს, ჩვენ მოქალაქეთა დასაშინტაყებლად ან მათთვის არასასურველი, ნამდვილი პატრიოტების ნინაღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნას უმაღ გამოიყენებენ სხვა ქვეყნების სექცსამსახურები.

არსებობს რეალური საშომროება, რომ „სენსაციების შევიზრებაში“ პოლიტიკური ქულების მოპოვებას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები შეეწინოს.

ზანის ალადაშვილი

ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლიკონიკი



პარტიების ლიდერების მიერ ერთმანეთისთვის „კრწმლის“, „მეორის“, „ზიმამბევის“ ან კონკურენტი პარტიის აგენტობის ვადამარლება პოლიტიკური მრწმლის ერთ-ერთი გაურკვეველუი მეთოდია.

Magna

შენი ცხოვრება,
შენი წესები!

საერთაშორისო
საწარმოო კომპანია

საერთაშორისო საწარმოო კომპანია

გეგნა გეგნა გეგნა



მოწევა
კლავს

მოწევა
კლავს

1,70*^ლ

შენ იმსახურებ ხარისხს!

* სასაქონლო ნაწილის ფასი შეიქმნა განსხვავებული

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას



დროშაზე იკითხება საბრძოლო ტექნიკის წარმომავლობის ადგილი — შეიარაღებისა და ტექნიკის შენახვის ბაზა

რუსულ- აფხაზური აღლუმი

1992-93 წლების ქართულ-აფხაზურ ომში მდინარე ენგურზე გასვლის მე-20 წელი აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმში 30 სექტემბერს სამხედრო აღლუმით აღნიშნეს. აღლუმები, როგორც წესი, სამხედრო ძლიერებასა და ძალის დემონსტრირებას ემსახურება, რომელიც მოსახლეობას უსაფრთხოდ ყოფნის საფუძველს უქმნის და მეზობლებისთვის გაფრთხილებაა. ამ მხრივ აფხაზეთში ჩატარებულმა რიგით მე-4 სამხედრო აღლუმმა სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვა და ეჭვიც გააჩინა.

მონაწილეთა რაოდენობითა და წარმოდგენილი საბრძოლო ტექნიკით სოხუმის 30 სექტემბრის აღლუმი ადგილობრივი მასშტაბით მართლაც შთაბეჭდავი იყო და წინა აღლუმებისგან დიდად, ალბათ, არც განსხვავდებოდა.

აფხაზეთის არმია წარმოდგენილი იყო თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის მმართველობით, გენშტაბის საკომენდანტო ასეულით, ოპერატიული მმართველთა „ვისტოკის“ სარდლობით, 1-ლი და მე-2 ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონებით, მე-7 საარტილერიო პოლკით, სამხედრო-საჰაერო ძალების დანაყოფით და სხვ.

სოხუმის ცენტრალურ მოედანზე ჩამოიარეს ასევე მეტაფეხმა, საგანგებო სიტუაციების სამსახურის მძველებმა, სოხუმის მილიციის სკოლის კურსანტებმა, სპეცდანიშნულების ბატალიონის, სახელმწიფო დაცვის სამსახურის, სპეციალური დანიშნულების ცენტრისა და სხვა სტრუქტურების წარმომადგენლებმა.

მსვლელობაში ასევე მონაწილეობდნენ საოკუპაციო რუსეთის არმიის მე-7 ბაზისა და სასახლერო სამ-

მართველის ქვედანაყოფები, აფხაზეთის, ყუბანისა და დონის კაზაკები და სხვ.

აღლუმზე საბრძოლო ტექნიკის მსვლელობა დაახლოებით 20 წუთს გაგრძელდა. კოლონის თავში მიმავალ ჯავშნიან საბრძოლო მანქანაზე ფრიალებდა დროშა, რომელზეც იკითხებოდა „შეიარაღებისა და ტექნიკის შენახვის ბაზა“. მართალია, დიქტორი აცხადებდა, რომ საბრძოლო ტექნიკის უდიდესი ნაწილი ნაალაფარია, ანუ ადრე ქართულ არმიას ეკუთვნოდა, მაგრამ თითოეულ საბრძოლო ერთეულს საგულდაგულო შენახვა-მოვლა ამკარად ეტყობოდა.

ტრიბუნის წინ ათმა T-55 ტიპის ტანკმა ჩაიარა და



ნათხოვარი საზენიტო კომპლექსი „ოსა“

ოცივე ქარხნიდან ახალმოღებულს ჰგავდა. ცხინველის ალუმუმებისგან განსხვავებით, სადაც ადგილობრივი ფორმირებები ნაალაფარი T-72-ებით იწონებენ თავს, 2008 წლის ომის დროს სენაკის ბაზიდან ნაყვანილი იმავე ტიპის რამდენიმე ტანკი რუსებმა, როგორც ჩანს, თავად დაიტოვეს და აფხაზებს არ აწდევს. ახალი ჩანდა შეიარაღებისა და ტექნიკის შენახვის ბაზიდან გამოყვანილი სხვა საშუალებებიც — ქვეითთა საბრძოლო მანქანები БМП-1-ები და БМП-2-ები, ჯავშანტრანსპორტიორები БТР-80-ები, ზალალური ცეცხლის რაკეტული სისტემა БМ-21 Град-ის მთელი დივიზიონი, მრავალმხრივი დანიშნულების მსუბუქად ჯავშანტრანსპორტიორები და სხვა ტექნიკა.

აფხაზეთის არმიამი არტილერია ისევ მოძველებული 120 მმ-იანი ნაღმსატყორცების 2Б11-ის, 85 მმ-იანი ტანკსანიანალმდეგო ქვემების Д-44-ისა და 122 მმ-იანი პაუბცის Д-30-ის დონეზე დარჩა.

საზოგადოება კი უფრო მეტს ელოდა და მისი მოლოდინის როგორმე გასამართლებლად ალუმუმზე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებმა ОСА-АК-ებმა ჩამოიარეს, ოღონდ აფხაზურ ვარიანტში საზენიტო რაკეტების რაოდენობა რატომღაც ექვსიდან ორამდე იყო შემცირებული.

თვალში საცემი იყო „ოსების“ გახუნებული ფერი და „იკითხებოდა“, რომ ისინი ექსპლუატაციამი კარგა ხანია არიან, რა თქმა უნდა, არა აფხაზეთის არმიამი.

წინა ალუმუმებისგან განსხვავებით, ამჯერად მონაწილე ქვედანაყოფებს შორის სამხედრო მეზღვაურები და საზღვაო ქვეითები არ აღმოჩნდნენ, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ აფხაზურმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა არსებობა დაასრულა.

აფხაზეთა მოძველებული „გრიფების“ შეცვლას კი რუსები საქართველოს ოკუპირებული ნაწილის სანაპირო ზოლის თავიანთი „სობოლებითა“ და „მანგუსტებით“ გაკონტროლებას ამჯობინებენ.

გამორიცხული არ არის, რომ მალე დასრულდება აფხაზური სამხედრო-საჰაერო ძალების არსებობაც. მოძველებული „ალბატროსები“ არაეის აღარ სჭირდება. შვეულმფრენების პარკის განახლებაში კი რუსეთი აფხაზებს ისევ დაეხმარება.

ალუმუმის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯავშანტრანსპორტიორები БТР-80-ები და საზენიტო-

სარაკეტო კომპლექსები ОСА-АК-ში რუსეთის საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზის უკუთვნიდა და აფხაზებს ალუმუმისთვის ათხოვნი.

ლაპარაკობენ იმის შესახებაც, რომ რუსეთის ადის დასრულების შემდეგ აფხაზეთის არმიას რუსები იმავე სახის რეფორმას ჩაუტარებენ, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ ცხინვალში კოკოთის ფორმირებებს უკვე ჩაუტარდა: გაუქმდება სამხედრო ფლოტი, მას მიჰყვება ავიაცია, არმიას ჩამოართმევენ მძიმე ჯავშანტექნიკას და ამას თავისთავად მოჰყვება არმიის რიცხობორეი რაოდენობის შემცირება.

შესაძლებელია ტრანსფორმირებული არმია გვარდიად გადაიქცეს და მის ფუნქციად დარჩეს დამხმარე მოვალეობათა შესრულება, საგანგებო სიტუაციებში მოქმედება, ტერიტორიისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და სხვ. სხვა ამოცანების შესრულება კი მთლიანად რუსეთის საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზის მოვალეობა იქნება. შეიძლება რუსებმა ბაზის შემადგენლობაში სიმბოლურად ჩამოაყალიბონ აფხაზური ბატალიონი, ისეთივე, როგორისაც ცხინველის მე-4 ბაზაში აპირებდნენ.

მოსკოვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები თავის ტყუაზე მოჰყავს და თამამი „აფხაზური სახელმწიფო“ ნელ-ნელა დასასრულისკენ მიემართება.

თეიმურ ჩანაშიძე



2008 წლის ალუმუმი და აფხაზი საზღვაო ქვეითები



ალუმუმე ნაწენები ყველა ტანკი ქარხნიდან ახალმოღებულს ჰგავდა

საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნების საიდუმლო



ნებისმიერი ქვეყნის ისტორია სხვენზე მივიწყებულ ძველმანებით სავსე სკივრს წააგავს: ყველა ნივთი, ვაკეითლებული და ძნელად გასარჩევი ხელნაწერები თუ წიგნები მტვრითა და საიდუმლოების სურნელითაა გაფენილი. გადაფურცლავ ძველ ფოლიანტებს და კითხვები არ გასვენებს: როდის? რატომ? როგორ? საქართველოს ისტორიაც საიდუმლოებით სავსე სკივრია, თუმცა ვერდნაკლული ფოლიანტებით სავსე. მთავარი ფურცლები ამოხეულია, მერე კი განადგურებული ან სხვა ქვეყნების საიდუმლო არქივებში გადამალული. როგორ დაადგენ ქეშმარიტებას?

დღეს გვსურს მკითხველს ერთ-ერთი ამგვარი ისტორიული თვისაგნის ამოხსნა შევთავაზოთ. შეიძლება ბევრს გაუჩნდეს კითხვა, თუ რა კავშირშია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის დაბრუნების ნახევარსაუკუნოვანი ეპოპეა სპეცსამსახურებთან? მოთმინება, მკითხველო, მოთმინება, ნუ ავჩქარდებით!

მოუხედავად იმისა, რომ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არქივის საქართველოში დაბრუნების საკითხი ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული, ჩვენი მიზანია, არ გამოვეკიდოთ სენსაციებს და დღეს ხელმისაწვდომი ისტორიული წყაროების, სამეცნიერო კვლევებისა და სხვადასხვა პუბლიკაციის ობიექტური ანალიზის საფუძველზე, „ემიგრაციის არქივთან“ დაკავშირებული ისტორიული მოვლენების კონსტრუირება მოვახდინოთ. მკითხველი კიდევ ერთხელ დაინახავს, რომ ისტორიული მოვლენების მხოლოდ საბოლოო შედეგია ზედაპირზე, იქით მიმაგალი ყველა ბოლიკი და დეტალი კი ზიზრად ისტორიისთვის საშუალოდ უცნობი რჩება. ამიტომ მთლიანი მოზაიკური პანოს დანახვა მხოლოდ მოზაიკის ნატყების გაერთიანებითაა შესაძლებელი.

მართალი ემიგრაციის ორი ბანძი

1921 წლის მარტში საზღვარგარეთ გაქცეულმა საქართველოს მთავრობამ ოკუპანტ ბოლშევიკებს ქართველი ერის ორი საგანძური გაართვა. ერის მატერიალური განძეულობა, საექლესიო თუ საერო, ასევე, სულიერი სიმდიდრე — პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო არქივები და სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტი. მაშინ საქართველოს მთავრობამ საფ-

რანგეთში გაიტანა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არქივი 1893 წლიდან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის არქივი (1918-1921 წწ.) და იმ პერიოდის სხვა პარტიული და სახელმწიფო დოკუმენტები.

წლების გასვლასთან ერთად არქივი შეივსო: ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური მოღვაწეების პირადი არქივებით, სხვადასხვა პოლიტიკოსთა უბის წინგაკეზითა თუ ჩანაწერებით და ა.შ.

„ემიგრაციის არქივი“ იყო აგრეთვე საქართველოს და კავკასიის ისტორიული, გეოგრაფიული თუ სხვა ხასიათის რუკები, ემიგრაციის ფოტოარქივი და კიდევ მრავალი, მკერ-მოყვრისთვის საინტერესო მასალა.

საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის განსაკუთრებულ ოპერატიული ინტერესს „ემიგრაციის არქივი“ ყველაზე საიდუმლო ნაწილი წარმოადგენდა, კერძოდ: — ემიგრაციის ანტიბოლშევიკური ბრძოლის ამსახველი დოკუმენტები — საიდუმლო მიმონერა, დაშიფრული წერილები და შიფრები;

— ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობისა და სამშობლოში დარჩენილი და ფარულად მოქმედი პოლიტიკური პარტიების კონტაქტების ამსახველი დოკუმენტები;

— ემიგრული ვეშაპელისა და ნოე რამიშვილის

მკვლევარების გამოძიებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

— ემიგრაციაში მოქმედი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების საიდუმლო კორესპონდენციები;

— რადიო „თავისუფლების“ სამხსახურებრივი დოკუმენტები;

— ქართული ემიგრაციის ლიდერების პირადი არქივები და სხვა;

ასე რომ, ის არ იყო მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის არქივი, ვაცილებით მნიშვნელოვანი განძი იყო.

1945 წელს მატერიალური საგანძურის დაბრუნების ისტორია და ამ პროცესში საბჭოთა სპეცსამსახურების რუსი და ქართველი თანამშრომლებისა და აგენტების (გუზოვისკის, თავაძის, შარიას, ვეგელიას და სხვ.) აქტიური მონაწილეობა მეტ-ნაკლებად ცნობილია.

ამ დროს კი ეროვნული არქივის დასაბრუნებლად საბჭოთა და ზევერეისა და კონტრდაზვერვის ორგანოების მრავალწლიანი მცდელობა, მათ შიერ დაგეგმილი და ჩატარებული მრავალჯერადი და მრავალფეროვანი ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციები კვლავაც გასაიდუმლოებულია. უფრო მეტიც, საქართველოს დამოუკიდებლობის მეორედ მოპოვების შემდეგაც ეროვნული არქივის დაბრუნების ისტორია ტახუდადებული იყო და არის. რამდენ ხანს გაგრძელდება ასე?

დედალბები ჩაგაღული ეგაბი

საქართველოს ეროვნული არქივის (იგივე „ემიგრაციის არქივი“) ხელში ჩაგდებით ბერი ქვეყნის სპეც-სამსახური იყო დინტერესებული და საამისოდ საიდუმლო ოპერატიულ-აგენტურულ ღონისძიებებსაც გეგმავდა.

ეროვნული არქივის საფრანკეთში გატანის პირველი დღეებიდან საბჭოთა საგარეო დაზვერვამ (ინო),



ექვთიმე თყაიშვილი ის დიდი მამულიშვილი იყო, ვინც ემიგრაციაში საქართველოს წარსული შეუნახა და შემდეგ უკან დაუბრუნა

საქართველოს სსრ ჩეკას ქვედანაყოფის მონაწილეობით საზღვარგარეთ გატანილი ქართული (ისევე, როგორც სხვა ეროვნების) ემიგრაციის სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიების და ცალკეული პოლიტიკოსების პირადი არქივების ხელში ჩასაგდებად დაიწყო სპეციალური ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციები და დაგეგმვა-ჩატარება.


საქართველოს „ემიგრაციის არქივის“ ხელში ჩაგდება არც შემდგომ წლებში, თვით საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში კარგავდა აქტუალურობას საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის. ჩვენი ვარაუდით, რასაც სხვადასხვა დოკუმენტური წყაროც ამაყრებს, ეს იყო საბჭოთა კომპარტიის სპეცსამსახურების მიცემული სრულიად საიდუმლო, უვადო დაავლება, რომელიც უცილობლად უნდა შესრულებულიყო.

არ არის გამორიცხული, ემიგრაციის არქივის* ხელში ჩასაგდება სპეცოპერაციები გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „ემიგრაციის არქივი“ აერთიანებდა დოკუმენტებს, რომლებიც არა მარტო XX საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ პერიუტეტივებს, არამედ 90-იანი წლების დასაწყისის ქართული ემიგრაციის შიდა დაპირისპირებასაც ასახავს.

საბჭოთა სპეცსამსახურების ფარულ „ოპერატიულ კომბინაციებში“ ჩართულნი იყვნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი — ზოგი საკუთარი ნება-სურვილით, ზოგიც კომპრომატებით დაშინებული; უმცირესი ნაწილი კი შესაძლებელია ვერც კი ხედებოდა, ისე იყვნებდა მათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში.

საბჭოთა პერიოდში საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენლების (ხშირად ყველაზე ნიჭიერი ნაწილის) სუკ-თან თანამშრომლობა მათი ბრალი კი არა, არამედ დიდი ტრაგედია იყო.

ასე იქმნებოდა საზოგადოებაში საბჭოთა სპეცსამ-



1921 წელს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის არქივი, იმ პერიოდის პარტიული და სახელმწიფო დოკუმენტები საზღვარგარეთ აღმოჩნდა



ქართული ემიგრაცია და მისი არქივი, საბჭოთა სპეცსამსახურების დიდ ინტელსს ინვესტიცია

სახურების შიში და ავტორიტეტი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 60-80-იანი წლები ვერც კი შეედრება 30-50-იანი წლების დაუნდობელი რეპრესიების პერიოდს. მაშინ საბჭოთა სპეცსამსახურებს შეეძლოთ ნებისმიერი პიროვნება არადაამიანური წამებით აიძულებინათ ნებისმიერ დოკუმენტზე მოეწერა ხელი, მათ შორის „ნებაყოფლობით“ თანამშრომლობის ხელწერილზე, მიეცა ოპერატიული ფსევდონიმი, საქმეში ჩაეკრა ამ ვითომდა აგენტისაგან დანერვილი ცნობა და ა.შ. ასე ირეოდა ერთ სისხლიან სადღეებელში ჯალათი და მსხვერპლი, დამსმენი და დასმენილი.

რეპრესიების სისხლიანმა მანქანამ ყველაზე ღრმა და მძიმე კვალს დააჩნია ქართველ ინტელიგენციას. ბევრმა ვერ გაუძლო და ფიზიკური განადგურების შიშით იძულებული გახდა აგენტის სახელი, ხშირად ფორმალურად, ეტარებინა. ასე მიიღეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა, ფილოსოფოსებმა, ისტორიკოსებმა, ენათმეცნიერებმა შინსახკომში „ქეზიშვიტის“, „ავგუსტოვსკის“, „კონსულის“, „ოურიის“, „მაიაკოვსკის“, „თურქელის“, „შმიდტის“, „არაბთის“, „კადრის“ და სხვა ოპერატიული ფსევდონიმები.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის იძულების მექანიზმი რადიკალურად შეიცვალა. სპეცსამსახურები მოქალაქეებს არა წამებით, არამედ კომპრომატების გამოყენებითა და დამინებით აიძულებდნენ თანამშრომლობას.

გადაბორევის მეთოდები „დაიხვეწა“: თანამშრომლობაზე უარის მთქმელს წამება და სიკვდილი არ ემუქრებოდა, თუმცა საბჭოთა რეპრესიული მანქანა მისი და მისი ოჯახის წინააღმდეგ ფარულად მუშაობდა და მათ მრავალ პრობლემას უქმნიდა.

სპეცსამსახურებთან „ლოიალური“ დამოკიდებუ-

ლების (ამ დროს შესაძლებელი ყოფილიყო ურთიერთობის ძალზე ფართო სპექტრი: აგენტობით დაწყებული და „სანდო პირით“ დამთავრებული) გარეშე გამოირჩებოდა იყო პიროვნების დანიანაურება, უცხოეთში გამგზავრება და ა.შ.

ასე რომ, არჩევანი ამგვარი იყო: ერთი მხრივ, სიცოცხლის გადარჩენა, მეორე შემთხვევაში, კეთილდღეობის მოპოვება ან შენარჩუნება.

ცაშვე მართალი იყო ბატონი აკაი ბაქრაძე, როცა წერდა: „წინასწარ არავინ უწყის, ვინ რას ჩადენს, როცა ყურში ნემსს გაუყრან... როცა თავდაყირა დაკიდებენ, როცა რკინის კეტით ძვლებს დაუმტკრევენ... თუ ყველაფერი ეს გადაგიტანია და არ გატეხილხარ, მაშინ გაქვს უფლება, შეხედო სხვას საყვედურით და მიმტკეველი მზერით. მაგრამ, როცა არაფერი გემუქრება და თბილ ლოგინში არხებინად ნებეირობ, მაშინ იოლია სხვათა განკითხვა და პატიისწენვის თამაში“.

საქართველოს ინტელიგენციას დიდად რცხვენოდა და ცდილობდა სიცოცხლის ბოლომდე დაემაღლა საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა. შემდეგ კი მათი მთამომავლები მალავდნენ და დღემდე მალავენ. თუმცა მათ წინაპრებს ნორმადიული ნორმები არ დაურღვევიათ, აი, ეთიკურ ნორმებზე კი რა მოგახსენოთ!

ამგვარი რეალობა ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურის ინტერესებშია. ისინი ყოფილი აგენტებისა და „სანდო პირების“ დაშინაქაქებას მათთან ადრინდელი თანამშრომლობის გამხველით ახდენენ.

ჩვენს ქვეყანაშიც ასე ჰყავდათ და ჰყავთ ანკესხე ნამოგებული რამდენიმე თაობა. სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა ინტელიგენციაში მუდამ ამორალურად ითვლებოდა, მით უფრო ისეთ ოდისოზურ სპეცსამსახურებთან, როგორებიც კა-გე-ბე და გე-ერ-უ იყვნენ.

საბჭოთა სექცსამსახურების მიერ მოქალაქეების სხვადასხვა ოპერატიულ „თამაშში“ ჩაბმა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც არაყზე რიგები რუსეთში.

ფაქტია, რომ საბჭოთა საზოგადოების დიდ ნაწილს უხედავდა საბჭოთა დაზვერვის ან კონტრდაზვერვის ერთ-ერთადი და ეპიზოდური დაფიქრებების შესრულება, რის შემდეგაც მათ უფრო სერიოზული ოპერატიული საქმეებისთვის გადაიხილებდნენ ხოლმე.

20-50-იან წლებში ამას „ხალხის მტრებთან ბრძოლას“ ეძახდნენ, ხოლო 60-90-იან წლებში „უცხოეთის მტრული იდეოლოგიური შეტევებისაგან“ ქვეყნის დაცვას.

მკითხველი მალევე დარწმუნდება, რომ ეროვნული არქივის დაბრუნების კონკრეტული პროცესის ანალიზი, გლობალურ პრობლემაზე: სუკ-ის არქივების გასაჯაროებისა და ლუსტრაციის საკითხებამდე მივყავართ.

დადი ილია ბრძანებდა: „აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლება, გამომწვევაა, ანმყოს ვაგება და ნარმართება, მერმისის გამორკვევა სინდელისგან“. ავტორის მოკრძალებული მიზანიც სწორედ ის არის, რომ ჩვენს ხელთ არსებული ოფიციალური დოკუმენტებისა და ქართული მეცნიერების, ასევე იმ მოვლენებში მონაწილე სუკ-ის ყოფილი თანამშრომლების მოგონებების შესწავლისა და ობიექტური ანალიზის საშუალებით, ოდნავ მაინც მოაფინოს ნათელი იმ შორეულ ისტორიულ ფაქტებს.

სხვადასხვა საარქივო დოკუმენტის შესწავლასთან ერთად ემიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების მემორებებისა და შემოურული ლიტერატურის ანალიზშიც მაც უნდა მოგვეცეს ობიექტური სურათი.

ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ეროვნული არქივის დასაბრუნებლად საბჭოთა სექცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული ოპერაციების გამოძახილი ორი ათეული წლის შემდეგ ტრაგიკულად აისახა უშუალო მონაწილეთა ბედზე.

ამიტომ შევეცდებით ობიექტური ანალიზის საფუძველზე გავარკვიოთ ზემოაღნიშნული, კიდევ ბევრი სხვა მოვლენა და ფაქტი, ტრაგიკული შემთხვევითობა იყო თუ სექცსამსახურების ფარული ოპერაციების შედეგი.

კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ეს თემა გასაგები მიზეზების გამო საზოგადოებისათვის დახურული იყო. დღეს კი არანაირი გამართლება არა აქვს ქვიშაში თავმარგული სირაქლემის პოზაში ყოფნას. უკვე დროა საზოგადოებამ იცოდეს, ვინ ვინ იყო და არის!

თუმცა, ამავე დროს საზოგადოებაში ახალი დაპირისპირების პროვოცირებაც არა მიზნად. მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობით არ შეიძლება ამ სოციალურ-პოლიტიკურად და ზნეობრივად ურთულესი საკითხის გადაჭრა.

ბასიკ ალადაშვილი

(გაგრძელება იქნება)



1934
წლიდან

ყველა დროის
საყვარელი
საოცრადი გაზაფხი

კონტრსაარტილერიო ბრძოლა

საინჟინერო
ბრძოლა



ქვემეხების შესაძლებლობები გამოგონებისთანავე სათანადოდ შეფასდა. გავიდა ხანი და საჯარიმოს დანაყოფებად ჩამოყალიბებულმა არტილერიამ არმიებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. პრაქტიკულად, არც ერთ ომსა თუ სამხედრო კონფლიქტს მის გარეშე არ ჩაუვლია.

არტილერიის განვითარება ერთდროულად რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა. ქვემეხებისა და ჭურვების სრულყოფასთან ერთად, სამხედროები არტილერიის გამოყენების კონცეფციის დახვეწაზეც მუშაობდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მონინალმდევის პოზიციებისა და კოორდინატების ზუსტ დადგენას, საარტილერიო დაზვერვას დაეთმო. ბრძოლის დანებების წინ მასობრივი საარტილერიო მომზადება მონინალმდევზე დიდ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა. თუმცა საბრძოლო მასალის უმისამართო ხარჯვაც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი არ იყო.

ყველა ქმედებას უკუქმედება აქვს. ბრძოლის ველზე ქვემეხებით ცეცხლის გახსნას მონინალმდევს საპასუხო დარტყმითა და მოპირდაპირე მხარის არტილერიის „დადუმების“ მცდელობით პასუხობს.

საარტილერიო დუელი – კონტრსაარტილერიო ბრძოლა განსაკუთრებით აქტუალური მეორე მსოფლიო ომისას გახდა. ხშირად საბრძოლო მოქმედებების რაიონში გავლილი საარტილერიო ბატარეების ერთადერთი მოვალეობა მონინალმდევის ქვემეხების განადგურება იყო. განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე. ლენინგრადის ბლოკადისას წითელი არმია საარტილერიო დუელში სავლესთან ერთად სანაპირო დაცვის,

სარკინიგზო და სახომალდო არტილერიის იყენებდა. კონტრსაარტილერიო ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა დაზვერვას, ინფორმაციის დროულ გადაცემასა და მონინალმდევს პოზიციებზე მაკორექტირებელ გათვლებს ექცევა. ღამით მოქმედებისას იშველებენ ავიაციასაც, რომელიც მონინალმდევის პოზიციებს გამანათებელ ბომბებს აყრის.

დანაკარგის შესამცირებლად, მაგალითად, გერმანელები, პოზიციებს ხშირად იცვლიდნენ. ამიტომაც კონტრსაარტილერიო ბრძოლა უმეტესად „ნადირობას“ ჰკავდა. საბჭოთა არტილერისტები საპასუხო ცეცხლს მხოლოდ გერმანული ქვემეხების ზალაქების შემდეგ ხსნიდნენ. ასეთი დაპირისპირება ეკონომიკურად ნამგებიანი იყო. მაგალითად, 1943 წლის 17 აპრილს ლენინგრადთან გერმანული ორი 170 მმ-იანი ქვემეხის გასანადგურებლად საბჭოთა რვა 130 მმ-იანმა სარკინიგზო საარტილერიო დანადგარმა 336 ჭურვი დახარჯა.

კონტრსაარტილერიო ბრძოლაში ინოვაციები მხოლოდ 50-იან წლებში დანერგეს. ქვემეხების ეფექტურობის გასაზრდელად სამხედროებმა რადიოლოკატორების გამოყენება გადაწყვიტეს. მათი მეშვეობით მონინალმდევის სახმელეთო სამიზნეებს ზვერავდნენ, საკუთარ საარტილერიო ცეცხლს აკორექტირებდნენ და კონტრსაარტილერიო ბრძოლას აწარმოებდნენ. რადიოლოკატორების არჩევა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. უპირველეს ყოვლისა, სხვა ტექნიკური საშუალებებისგან განსხვავებით, ლოკატორები დროის მცირე მონაკვეთში დიდ ფართობს აკონტროლებენ და ნებისმიერ მეტეოპირობებში ეფექტურად მოქმედებენ.

არტილერიისტა დასახმარებლად ორი ტიპის — საველე და მოძრავი სახმელეთო სამიზნეების დაზვერვის ლოკატორები გამოიყენება. ეს უკანასკნელი მონინალამდევის ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის გადაადგილების მიმართულებას, კოორდინატებსა და რაოდენობას განსაზღვრავს.

სსრკ პირველი იყო, სადაც 1958 წელს შეიარაღებაში სახმელეთო-საარტილერიო დაზვერვის მობილური სადგური **CHAP-2A** შევიდა. **AT-Л**-ის ტიპის მსუბუქ საარტილერიო გამწვანე დაყენებული სადგური მოძრავ სახმელეთო-საზღვაო სამიზნეების კოორდინატებსა და გადაადგილებას ადგენდა.

მონინალამდევის დაფიქსირებისთანავე მონაცემებს საარტილერიო ბატარეებს გადასცემდა და ცეცხლის გახსნის შემდეგ კორექტირებისთვის აუცილებელ მითითებებსაც იძლეოდა. ჯავშანტექნიკის შემთხვევაში სამიზნის აღმოჩენის დისტანცია 12-დან, ხოლო საზღვაოში კი 25 კმ-დან იწყებოდა.

1971 წელს საბჭოთა არტილერიისტებმა შეიარაღებაში მიიღეს სახმელეთო დაზვერვის ახალი სადგური **CHAP-10 Леопард**-ი. მასში განსაკუთრებული ყურადღება მობილურობასა და ავტონომიურობას დაეთმო, ამიტომაც წინამორბედისგან განსხვავებით „ლეოპარდს“ ორიენტაციის, ნავიგაციის, ტოპოგრაფიის, კავშირისა და ელექტრომომარაგების საკუთარი წყაროები ჰქონდა.

მასის სახით ახალი სადგურისთვის **MT-ЛБ**-ს ტიპის მსუბუქი საარტილერიო გამწვანე შეარჩიეს. პოზიციაზე გასვლის შემდეგ, სამკაცრიანი ეკიპაჟი ლოკატორის ანტენას შლის და მუშაობას იწყებს. მდგომარეობის შეცვლის გარეშე, პორიზონტალურ სიბრტყეში მილიმეტრულ დიაპაზონში მომუშავე რადიოლოკაციური სადგური **26¹**-იან სექტორს აკონტროლებს.

რელიეფიდან გამომდინარე, „ლეოპარდს“ სახმელეთო სამიზნეების აღმოჩენა 17, საზღვაოში კი 30

კმ-ზე შეუძლია. საარტილერიო ცეცხლის კორექციონს კალიბრიდან გამომდინარე ჭურვების აფეთქებების კოორდინატები 4-დან 10 კმ-ის დისტანციაში ფიქსირდება.

„ლეოპარდს“ სერიული წარმოება 1972 წელს დაიწყო და 1991 წელს შეწყდა. ამ პერიოდში 900-მდე სადგური დამზადდა. **CHAP-10**-ები ქართულ არმიასაც აქვს, მაგრამ მათი ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა უცნობია.

90-იან წლებში რუსებმა „ლეოპარდს“ მოდერნიზაცია ჩაუტარეს და მანქანაზე ახალი **Кредо-1Е**-ს ტიპის რადიოლოკაციური სადგურის დაყენებით მოდიფიკაცია **CHAP-10М Пантера** შექმნეს.

АРК-1 Рысь — პირველი საბჭოური საარტილერიო რადიოლოკაციური კომპლექსი. **MT-ЛБ**-ს ბაზაზე განთავსებული კომპლექსი შეიარაღებაში 1977 წელს მიიღეს. პერეში მყოფი საბრძოლო მასალისგან არეკლილი სიგნალისა და „მეხსიერებაში“ დატული საარტილერიო სისტემების მახასიათებლების მიხედვით, საბორტე კომპიუტერი ჭურვის იდენტიფიცირებასა და მისი ფრენის ტრაექტორიას (გასროლისა და დაჯარდნის წერტილებს ჩათვლით) განსაზღვრავდა.

მონინალამდევის ნაღმსატყორცების, ქვემეხებისა და რეაქტიული არტილერიის შემთხვევაში, მათი აღმოჩენის მანძილი, შესაბამისად, 12, 9 და 16 კმ-ით განისაზღვრებოდა, რაც ეფექტური კონტრსარტილერიო ბრძოლისთვის არასაკმარისია.

კომპლექსის საბრძოლო გამოყენებას ავღანეთის ომში სცადეს. მთიანი რელიეფის პირობებში, როგორც მონინალამდევის პოზიციების აღმოჩენისას, ასევე საკუთარი საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისას, კომპლექსი არაეფექტური აღმოჩნდა. დუშმანები ნაღმსატყორცებსა და რეაქტიულ ჭურვებს იშვიათად იყენებდნენ და ამიტომ „ფოცხერის“ მუდმივი საბრძოლო მორიგეობა აზრს კარგავდა. მთავარი სირთულე სიმაღლეების სხვაობაში მდგომარეობდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამიზნე, საკუთარი საარტილერიო გათვლები და თავად კომპლექსს სხვადასხვა სიმაღლეზე იყო.



თანამედროვე საარტილერიო რადიოლოკაციურ კომპლექსებს მაღალი სიზუსტით როგორც რეაქტიული არტილერიის ასევე ტანკური სარაკეტო კომპლექსების მოზიციების აღმოჩენა შეუძლიათ



თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა სადგურის შესაძლებლობები გაზარდა. სახმელეთო საშიხნეების (ტანკი) 35-მდე, 152 მმ-იანი საარტილერიო ქურვის აფეთქების აღმოჩენის დისტანცია კი 15 კმ-მდე გაიზარდა. ვიზუალურად „ლეოპარდისა“ და „პანტერის“ ერთმანეთისგან გარჩევა ლოკატორის ანტიენით შეიძლება. „პანტერაზე“ ის ორჯერ პატარა და თითქმის კვადრატული ფორმისაა.

სახმელეთო-საარტილერიო დაზვერვის სადგურებზე ამერიკელებიც მუშაობდნენ. 1959 წელს აშშ-ის არმიამ შეიარაღებაში AN/TPS-25-ის ტიპის სადგური მიიღო. საბაზო ვარიანტში, დანიშნულების ადგილას სატივითო მანქანით გადატანის შემდეგ, მის ასანაყობად და მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად 5-6-კაციან გათვლას 10-15 თო სჭირდებოდა.

ამ სექციის ნაკლს ამერიკელები მალე მიხვდნენ და რამდენიმე წელიწადში AN/TPS-25-ის მობილური ვარიანტი დაამზადეს. ლოკატორი გასაშლელ ტელესკოპურ ძელზე დაამონტაჟეს და მასის სახით M113-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორი გამოიყენეს.

AN/TPS-25 მალე მოძველდა და ის ახალი AN/TPS-58-ით ჩაანაცვლეს. აზომეტრის მიხედვით ის 30-140°-იან სექტორში სამიზნის აღმოჩენასა და მის ავტომატურ გაცილებას 20 კმ-მდე დისტანციაზე უზრუნველყოფს. სამიზნის გაცილებისას მისი ადვილმდებარეობა და ვადეადგილების მიმართულება რუკაზე (მასშტაბი 1:50000) გამოიხაზებოდა, რაც საარტილერიო ცეცხლის უწყვეტ რეჟიმში წარმოების საშუალებას იძლეოდა.

სახმელეთო-საარტილერიო დაზვერვის სადგურების ეფექტურობაში ამერიკელები მალევე დარწმუნდნენ და მძლავრი სისტემების შექმნასთან ერთად შედარებით სუსტ, თუმცა კომპაქტურ ვარიანტებზეც მუშაობდნენ.

1967 წელს ქვეითი ბატალიონების სადაზვერვო დანაყოფებში ახალი AN/PPS-5 გამოჩნდა. ვიეტნამის ომში საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისა და მონინაღმდევის აღმოსაჩენად ამერიკელები მას ფართოდ იყენებდნენ.

ბრძოლის ველზე საარტილერიო დაზვერვის სადგურების გამოჩენამ არტილერიისტებს მუშაობა გაუადვილა. თუმცა ეფექტური კონტრსაარტილერიო ბრძოლის წარმოებისთვის ეს არ კმაროდა. საჭირო იყო

კონტრსაარტილერიო ბრძოლის სფეროში ამერიკელთა უკანასკნელი ქმნილება — კომპლექსი EQ-36





ისეთი საშუალება, რომელიც არტილერიის ტიპის მონინალმდევგის ქვეშეხების ადგილმდებარეობის დადგენასა და სწრაფი საპასუხო ცეცხლის გახსნაში დაეხმარებოდა.

ამ ფუნქციებს საარტილერიო რადიოლოკაციური კომპლექსები ასრულებენ. მათ მონინალმდევგის ქვეშეხების, ნალმსატყორცნებისა და რეაქტიული არტილერიის პოზიციების აღმოჩენისა და საკუთარი საარტილერიო ცეცხლის კორექციისთვის იყენებენ. კომპლექსების დაფიქსირების მთავარი ობიექტი პაერში მფრენი ტურეი ან ნალშია. ფრენის ტრაექტორიიდან გამომდინარე, ლოკატორი როგორც ტურეის გასროლის, ასევე მისი დაცემის კოორდინატებს განსაზღვრავს.

პირველი ასეთი კომპლექსი ამერიკელების შეიარაღებაში 60-იან წლებში გამოჩნდა. AN/MPQ-4-ის სამოქმედო რადიუსი 10 კმ იყო და მონინალმდევგის პოზიციების აღმოსაჩენად მფრინავი ტურეის ტრაექტორიის ორ ნერტილში დაფიქსირების შეუთოდ იყენებდა. პაერში ტურეის პოენიდან მისი გასროლის კოორდინატების დადგენას 4-5 ნთ სჭირდებოდა და ცდომილება 50 მ-ს არ აღემატებოდა.

დღეს ამერიკელი არტილერიისტიების განკარგულებაში გაცილებით თანამედროვე და სრულყოფილი რადიოლოკაციური კომპლექსებია. 2012 წელს აშშ-ის თავდაცვის უწყებამ კომპანია Lockheed Martin-ისგან 50 ერთეული AN/TPQ-53-ის ტიპის კომპლექსის შესაძენად 881 მლნ დოლარი გამოყო.

წლევანდელ MAK-2013-ზე რუსებმა ახალი 3ოიარკ-1M წარმოადგინეს. მუხლუხა შანიზე განთავსებული კომპლექსის მახასიათებლები ცნობილი არ არის. არსებული ცნობით, ამჟამად ის გამოცდას გადის



კომპლექსის „გული“ აქტიური ფაზირებულცხაურიანი ლოკატორია, რომელიც ორ რეჟიმში მუშაობს. 360°-იანი სექტორის სკანირებისას ყველა ტიპის საბრძოლო მასალის შემთხვევაში, მათი დაფიქსირების დისტანცია 20 კმ-ს შეადგენს. 90°-იანი სექტორის სკანირებისას ნალმსატყორცნების, ნალმების, საარტილერიო ტურეებისა და რეაქტიული არტილერიის რაკეტების აღმოჩენის მანძილი, შესაბამისად, 20, 40 და 60 კმ-ია.

EQ-36 (კომპლექსის მეორე ნიშნული), რომელსაც მხოლოდ ოთხკაციანი ვათელა ემსახურება, მაღალი გამავლობის ორ ავტომობილზეა განთავსებული: ერთზე თავად ლოკატორი, მეორეზე — ინფორმაციის დამუშავების, გადაცემისა და კავშირის საშუალებები.

80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კონსტრუქტორები საარტილერიო რადიოლოკაციური კომპლექსის ორ ვარიანტზე — 3ოიარკ-1-სა და 3ოიარკ-2-ზე მუშაობას შეუდგნენ.

MT-ЛБу-ს შასიზე განთავსებული პირველი კომპლექსის ექსპლუატაცია 90-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო, ხოლო ბრძოლის ველზე 1999 წლის დეკემბერში გროზნოს შემოგარენში გამოიყენეს.


თანამედროვე სისტემების წყალობით 3ოიარკ-1 ტაქტიკური რაკეტების გაშვების ნერტილების დაფიქსირებას 45 კმ-ის რადიუსში ახერხებს.

3ოიარკ-2-ის შექმნაზე მომუშავე უკრაინულმა ფირმამ პროექტი მოგვიანებით დაასრულა და 2003 წელს უკრაინის არმიამ შეიარაღებაში მიიღო.

არსებული მონაცემებით, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისას ქართული საარტილერიო პოზიციების დაზეერვისა და მისი აღმოჩენისთვის რუსები 3ოიარკ-1-ს იყენებდნენ.

ალექსანდრა აშაძიძე





რაკეტული ტანკები



ჯგუშანტყეჩიკისა და მათ შორის ტანკების საცეცხლე ძალის ამპლუების ერთ-ერთი მიმართულება დამატებით მართავდა ან უმართავი რაკეტებით შეიარაღებას უკავშირდება.

იდეა საბჭოთა კავშირში გაჩნდა, სადაც ვასილი სალუუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში სხვადასხვა დანიშნულებისა თუ კალიბრის რეაქტიული ქურევების შექმნისთვის დიდი მუშაობა დაიწყო.

1931 წელს დასრულდა ტანკის დამატებით შესაიარაღებელი 250 კგ-იანი ტორპედოს (ТТ) პროექტირება. მაშინდელი სამხედროების მოსაზრებით, სატანკო ტორპედოს გამოყენებით გაადვილდებოდა მონინალმდევის მძიმე ტანკებთან ბრძოლა, გამაგრებული პოზიციების გარღვევა, ძლიერად დაცული ნინალმდევობის კვანძებისა თუ საცეცხლე ნერტილების განადგურება.

სახმელეთო გამშვები დანადგარიდან ტორპედოს გამოცდის კარგმა შედეგმა იდეის ავტორებს მეტი ოპტიმიზმი შესძინა და ეს რაკეტული ტანკის პროექტირების საფუძველი გახდა.

სამი თვე საკმარისი აღმოჩნდა ბორბლებიან-მუხლუხა ტანკის БТ-5-ის ბაზაზე პირველი რაკეტული ტანკის РБТ-5-ის ნახაზების შესაქმნელად და 1933 წლის ბოლოს სარაკეტო დანადგარის დასამზადებელი დოკუმენტაცია მიუსკვის ერთ-ერთ ქარხანას გადაეცა, ხოლო მისი მონტაჟი БТ-5-ზე ხარკო-

ვის ორთქლმავალმშენებელმა ქარხანამ შეასრულა.

ორმა სატანკო ტორპედომ თავიანთი გამშვები დანადგარით ადგილი ტანკის კომპურის გვერდებზე დაიკავა და კომპურასთან ერთად წრიულად ბრუნავდა, ხოლო ანევის კუთხეს ნულიდან 48 გრადუსამდე ეკიპაჟი სპეციალური მექანიზმით ტანკის შიგნიდან არეგულირებდა.

გამიზნისთვის ეკიპაჟი ჯერ БТ-5-ის სამტატო 45 მმ-იან ქვემეხს იყენებდა და შემდეგ ტორპედოებით სროლაზე გადადიოდა, რომლის 130 კგ-იანი საბრძოლო ნაწილის ფრენის მაქსიმუმი 1,5 კმ-ს აღწევდა.

გამოცდისას რაკეტული ტანკის ხარვეზები გამოვლინდა — კომპურაზე გარედან დაკიდებული სარაკეტო შეიარაღება ტყეებისა და ტურვების ნაშხერეგებისად დაუცველი იყო, ხოლო თვით ტორპედოს ფრენის პატარა მანძილი და მიზანში მოხვედრის მცირე ალბათობა უჭონდა, რაც დანუწების მიზეზი გახდა.

მარცხის მიუხედავად, კონსტრუქტორებმა ამ სქემაზე უარი არ თქვეს და რამდენიმე ახალი პროექტიც მოამზადეს. ერთ-ერთი БТ-5-ზე რეაქტიული ქურევების გასამშვები სპეციალური ოთხკუთხა კომპურის დადგმას ითვალისწინებდა, სადაც 132 მმ-იანი 18 რეაქტიული ქურვი და მართვის მექანიზმი იქნებოდა მოთავსებული. დამატებითი შეიარაღების დანიშნულებას კი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ДТ შეასრულებდა.

მაგრამ არც იმ პროექტის სერიულ წარმოებამდე მიყვანა არ მოხერხდა, მაშინდელ უმართავ რეაქტიულ ჭურვებს ეფექტურობა აკლდა.

ნაყოფი გამოიღო ტანკების შასიზე მსუბუქი ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემა Катюша-ს სხვადასხვა მოდელის დაყენებამ. მსგავსი საბრძოლო მანქანები სერიულადაც მზადდებოდა.

მსუბუქ ტანკებს — T-40-ებსა და T-60-ებს — უსხინდნენ კომპურას და მის ადგილს 82 მმ-იანი რეაქტიული სისტემა BM-8-24 იკავებდა. 12 მიმმართველში ჩალაგებული M-8 ტიპის 24 რეაქტიული ჭურვი კი მიზნებს 3,5 კმ-ის რადიუსში ანადგურებდა.

1942-43 წლებში ასეთი დანადგარები ნითელმა არმიამ მრავალ ოპერაციასა თუ ბრძოლაში გამოიყენა და სამხედროების შეფასებით ბორბლებიან „კატაშებთან“ შედარებით უკეთესი გამავლობა ჰქონდა, თანაც ჯაგმანი მომსახურე პერსონალსაც უფრო საიმედოდ იცავდა.

1943 წელს ამერიკელებმა საშუალო ტანკის M4A1/A3 Sherman-ის საფუძველზე მსგავსი სისტემა T34 Calliope დაამზადეს. ამერიკულ „კატაშაში“ ტანკს კომპურა ქვემეხიანად შეუნარჩუნდა, მის თავზე დაყენებული პაკეტი 60 მიმმართველისგან შედგებოდა და 114 მმ-იან M8 ტიპის რაკეტებს ცალცალკე ან ზალპად ისროდა.

პაკეტი კომპურასთან ერთად წრიულად ბრუნავდა, ზოლო ვერტიკალურ სიბრტყეში დანევა-ანევას ქვემეხის ლულის მექანიზმი უზრუნველყოფდა. რადგან პაკეტის მართვა ქვემეხის სანევებთან იყო მიერთებული, ამიტომ რაკეტებისა და ქვემეხის სროლა ერთდროულად შეუძლებელი იყო, ვიდრე ორი ქვედა 12-მიმმართველიანი სექცია პაკეტს არ მოსცილდებოდა.

სროლას ეკიპაჟი ტანკიდან მართავდა და პაკეტის სრულად დაცლის შემდეგ საბრძოლო მარჯვის შესავსებად პოზიციიდან ზურგში მიდიოდა. „შერმანს“ დაჯაგმნა-შეიარაღება სრულად მრეაქტიული ნარჩუნდა და საბრძოლო მოქმედებათა რაიონში მის გამოყენებას ხელს აღარაფერი უშლიდა. რაკეტული „შერმანები“ ამერიკულმა მე-2 ჯაგმანსატანკო დივიზიამ პირველად 1944 წლის აგვისტოში საფრანგეთში გამოიყენა.

Calliope-ს მომდევნო მოდიფიკაცია T34E1-ში ეს ნაკლი გამოსწორდა და რაკეტებთან ერთად ქვემეხიდან სროლაც შეეძლო და საცეცხლე ძალაც მოემატა — ქვედა რიგის ორ სექციაში მიმმართველები 14-მდე გაიზარდა და საერთო რაოდენობამ 64-ს მიაღწია.

ამერიკელმა კონსტრუქტორებმა ომის ბოლოს „შერმანის“ ბაზაზე მიმე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა T40(M17) WhizBang-ი დაამზადეს, რომელიც 183 მმ-იანი რაკეტების გასაშვები 20 მიმმართველით იყო აღჭურვილი.

ტანკებისთვის უმართავი რაკეტული ჭურვების გამოყენება დანადგარის იდეა დაინიშნებას არ მიეცა და ხელშეორედ შეესხა ხორცი 80-იანი წლების დასაწყისში ავღანეთის ომში.

საბჭოთა არმიის სატრანსპორტო კოლონებს მთებში ჩასაფრებული ავღანელები გამოდმებით ეს-ხმოდნენ თავს და მათთან საბრძოლველად ტანკებს (T-55-სა და T-62-ის) კომპურების სახურავზე საავიაციო ბლოკებს YB-32-ებს უყენებდნენ.

57 მმ-იანი უმართავი რაკეტების C-5-ების ზალპი ტანკისტებს საშუალებას აძლევდა მთებში ისეთი ადგილები დაეფარათ, რომლის გასანადგურებლადაც სატანკო ქვემეხის გამოყენება შეუძლებელი იყო.



თ-60-ზე დაყენებული 82 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა BM-8-24

ამერიკული ტანკს Sherman-ის საფუძველზე დამზადებული 114 მმ-იანი ზალბური ცეცხლის რაქტული სისტემა T34 Callipe



უმართავი რაქეტებით აღჭურვილი ტანკი იგივე თვითმავალი საარტილერიო დანადგარია, ხოლო კომპურაზე დაყენებული გამშვები დანადგარები საბრძოლო მანქანას უფრო შესამჩნევს ხდის და მწყობრიდან გამოყვანაც იოლდება. ამიტომაც ეს სქემა აღარ განვითარდა. 1955 წელს საფრანგეთის არმიის შეიარაღებაში პირველი ტანკსანიანალმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი SS-10-ის შესვლით რაქტული ტანკების იდეა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, სადაც პიონერები ისევ ფრანგები აღმოჩნდნენ და ტანკსანიანალმდეგო რაქეტებით AMX-13-ის ტიპის მსუბუქი ტანკები აღჭურვეს. განიხილებოდა ტანკის შეიარაღების ორი ვარი-

ანტი: ერთ შემთხვევაში რაქეტების გამშვები ორი კონტინერი კომპურის სახურავზე, ხოლო მეორეში კი კომპურის წინა მხარეს ოთხი გამშვები დანადგარით იყო დაყენებული. არჩევანი მეორე სქემის სასარგებლოდ გაკეთდა.

1959-60 წლებში აშშ-მა საფრანგეთისგან რამდენიმე ათასი ტანკსანიანალმდეგო მართვადი რაქეტა SS-10/SS-11 იყიდა და M-48/M-60 ტიპის ტანკებზე გამოყენების შესაძლებლობა მოსინჯა, მაგრამ მუშაობა სავცდელ ნიმუშებს არ გასცდა და ამას მიზეზიც ჰქონდა:

- პირველი თაობის ტანკსანიანალმდეგო რაქეტები ხელით იმართებოდა და ოპერატორი ჯოისტიკით რაქეტას ბრძანებებს გადასცემდა;
- დამიზნების დაბალი სიზუსტისა და რაქეტის ფრენის დიდი დროის გამო ტანკის სელისას სროლა შეუძლებელი იყო;
- ტანკზე გარედან დაყენებული გამშვები დანადგარები მონინალმდეგის ცეცხლქვეშ ახალი რაქეტების დაყენებას გამოირიცხავდა;
- ბრძოლის დროს გარედან დაკიდებული რაქეტები ტყვიებისა და ჭურვების ნამსხვრევებისგან დაუცველი იყო.

მიუხედავად ამისა, ფრანგებმა რაქტული ტანკები ინდოჩინეთის ომებში კარგად გამოიყენეს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მონინალმდეგის ტანკსანიანალმდეგო შესაძლებლობები შეზღუდული იყო.

დაახლოებით იმავე პერიოდში საბჭოთა საკონსტრუქტორო ბიუროებმა სატანკო აქტიურ-რაქტულ ჭურვებზე მუშაობა დაიწყეს და ტანკიდან რაქეტებით სროლისთვის სხვადასხვა სქემა დაამუშავეს. ერთ შემთხვევაში რაქეტის გამშვები დანადგარის დანიშნულებას სატანკო ქვეშები ასრულებდა, მეორეში — კომპურიდან გამოსანევი გამშვები დანადგარი.

ტანკსანიანალმდეგო რაქეტებით აღჭურვილი ფრანგული AMX-13-ის ტიპის ტანკი



პერუს არმიის
T-55 Leont-ის
ტიპის ტანკები
და „მალუტკას“
ტიპის რაკეტები



გარი, მესამეში კომპურის ადგილას რაკეტების გამ-
შეები დანადგარი იყო დაყენებული და ა.შ..

ერთ-ერთ პროექტით (ობიექტი „287“) ტანკ T-
64-ის შასიზე კომპურის ადგილი ძირითადი და და-
მატებითი შეიარაღებით აღჭურვილმა მზრუნავმა
პლაცფორმამ დაიკავა.

ძირითადი შეიარაღება მართვადი რაკეტული შე-
იარაღების კომპლექს „ტაიფუნია“ და რაკეტების
გამშვები ნახევრად ავტომატური დანადგარით იყო
ნარმოდგენილი, ხოლო დამატებითის დანიშნულე-
ბას კი ორი 73 მმ-იანი ქვემეხი ასრულებდა.

„ტაიფუნი“ მართვადი რაკეტებით სროლას რო-
გორც ადგილიდან, ასევე მოძრაობის დროს უზრუნ-
ველყოფდა და მიზანს დილისით 0,3-3,0 კმ-ის, ხოლო
ღამით კი 1,5 კმ-მდე მანძილზე ანადგურებდა.

მაგრამ პირველი თაობის ტანკსანიშნაობა მდგომ
რაკეტებს არაერთი ტექნიკური ხარვეზი ჰქონდა,
რაც ობიექტი „287“-ის გამოცდის დროსაც გამოჩ-
ნდა — გამოყენებული 45 რაკეტიდან მიზანს მხო-
ლოდ 16 მოხვდა.

60-იანი წლების დასაწყისში ყველა საბჭოთა სე-
რიულ თუ ექსპერიმენტულ ტანკს დამატებითი შე-
იარაღების სახით ტანკსანიშნაობა მდგომ მართვადი
რაკეტა 9M14 Малютка დაემატა და მისი დანიშნუ-
ლება მონიშნაობა მდგომი ჯავშანტექნიკის 2-3 კმ-ზე
განადგურება იყო, სადაც ქვემეხის ჭურვი ეფექტს
არ იძლეოდა.

საშუალო და მძიმე ტანკებს კომპურების კიოზზე
„მალუტკას“ 3, ხოლო მცურავ პТ-76-ს კი 2 მიმ-
მართველი გაუკეთდა.

კომპლექსის სალაშქროდან საბრძოლო მდგომარ-
ეობაში გადაყვანას 11-24 წამი სჭირდებოდა. და-
მიზნებისთვის ეკიპაჟი სატანკო ოპტიკური სამიზ-
ნით სარგებლობდა და რაკეტას ბრძანებებს ხელით
სამართავი პულტით გადასცემდა. ადგილიდან მოძ-
რავე ან უძრავი მიზნის გასანადგურებლად 1-2 რა-
კეტა იყო საჭირო.

ასეთი სტეპა ახლა მოძველებულია და მიუხედა-

ვად ამისა, პერუს არმიის საბჭოთა ნარმოების T-55
Leont-ს ტიპის ტანკები კომპურის გვერდებზე თი-
თო-თითო ტანკსანიშნაობა მდგომ მართვად რაკეტა
„მალუტკას“ ისევ ატარებენ.

ერთ დროს პოლონეთი T-55A-ის ბაზაზე საინჟინ-
რო ტანკებს ამზადებდა და მათ აღჭურვილობაში
ტანკის კიოში მოთავსებული იყო PW-LWD ტიპის
ორი განმარტველი რაკეტა.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, 1968 წელს, საბ-
ჭოთა არმიის შეიარაღებაში შევიდა T-62B-ს ბაზა-
ზე აწყობილი და მართვადი შეიარაღების კომპლექსი
Дракон-ით აღჭურვილი რაკეტული ტანკი ИТ-1
(ტანკების გამანადგურებელი).

ტანკის კომპურაში ტანკსანიშნაობა მდგომ მართ-
ვადი რაკეტების გამოსანევი გამშვები დანადგარი
და სათადარიგო რაკეტების (საბრძოლო მარაგი 15
მართვად რაკეტა 3M7 Дракон-ს ითვლიდა) ავტო-
მატური მიმწოდებელი მექანიზმი იყო მოთავსებუ-
ლი.

ტანკიდან „დრაკონები“ რადიოხაზით იმართებო-
და და უკუკავშირის რაკეტაზე დაყენებული დენთის
ტრასერის სინათლის შუქი უზრუნველყოფდა.

ИТ-1-ები საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1968
წელს შევიდა და ორი სატანკო ბატალიონიც აღი-
ჭურვა. ექსპლუატაციის პერიოდში ამ ტანკებს იმ-
დენი ნაკლი აღმოაჩნდა (კონსტრუქციის იდეი მა-
საგაბარიტები, მოძველებული ელემენტარული ბა-
ზა, ქვემეხის უქონლობა და სხვ.), რომ 1970 წელს
შეიარაღებიდან მოიხსნა.

1958-59 წლებში აშშ-ში მსუბუქი ტანკის შესარ-
ჩევი კონკურსი ჩატარდა. ახალი ტანკი საბჭოთა
ტანკებთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად განი-
ხილებოდა და მას მოეთხოვებოდა ცურვის უნარი,
არანაკლებ საშუალო ტანკების ტოლფასი შეიარა-
ღება და მასაგაბარიტებით ავიატრანსპორტირების
შესაძლებლობა.

კონკურსში მსუბუქი ტანკებისთვის უჩვეულოდ
დიდი კალიბრის 152 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილმა

General Motors-ის XM551-მა გაიმარჯვა. ასეთი კალიბრი შემთხვევით არ შეურყვიათ — მასში ქვემეხისა და ტანკსანიანალმდეგო მართვადი რაკეტების გამშვები დანადგარის ფუნქციები იყო შერწყმული. ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ მსუბუქი ტანკი **M551 Sheridan-ი** სერიულ წარმოებაში წავიდა.

ვერობაში საბჭოთა ტანკებთან საბრძოლველად გამზადებული „შერიდანის“ საბრძოლო მარაგი სხვადასხვა პროპორციით 30 ჭურვსა და ტანკსანიანალმდეგო **MGM-51 Shillelagh-ის** ტიპის რაკეტას ითვლიდა. ეკიპაჟი რაკეტის მიზანზე გასაყვანად ქვემეხის ლულაზე დაყენებულ ინფრანითელ ტრასერს იყენებდა.

„შერიდანის“ შესაძლებლობები ამერიკელებმა ვიეტნამში მოსინჯეს, სადაც სამხედროებისგან არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი მისი წარმოება შეწყდა.

60-იანი წლების მეორე ნახევარში ამერიკელებმა დასავლეთ გერმანელებთან ერთობლივად ძირითადი საბრძოლო ტანკის შესაქმნელი პროექტი **MBT-70** წამოიწყეს.

ტანკის ამერიკულ ვერსიაში გამოყენებული 152 მმ-იანი ქვემეხი **XM150** ჭურვების სროლასთან ერთად რაკეტების გამშვები დანადგარის დანიშნულებასაც ასრულებდა.

ძირითადი იარაღი მართვადი რაკეტა „შილილა“ იყო, რომელიც 3 კმ-მდე მანძილზე ჯაემანტექნიკასთან ბრძოლის მთავარ საშუალებად განიხილებოდა.

ფრენის დროს რაკეტის მართვასა და მიზანზე

გაყვანას ოპერატორი მართვის პულტისა და კომპიუტრის გარეშად დაყენებული ინფრანითელ რაკეტებს ეხმარებოდა და მართვადი რაკეტის დახმარებით ახდენდა.

უფრო რაციონალურ გზას დაადგინა საბჭოთა სპეციალისტები, რომლებმაც სატანკო ქვემეხის კალიბრის ზრდის საგიგრად ჩვეულებრივი კუმულაციური ან მსხერვედა-ფუგასური ჭურვების იდენტური სატანკო რაკეტები შექმნეს.

1976 წელს საბჭოთა არმიის შეიარაღებაში შევიდა 125 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი ტანკი **T-64B**. სატანკო ქვემეხი იმავე კალიბრის ტანკსანიანალმდეგო რაკეტა **Кобра-ს** ისროდა.

ტანკის სამიზნეს გაძლიერებული ვიზორაცია ჰქონდა, რაც მოძრაობის დროს სროლას ხელს უშლიდა, დატენის მექანიზმიც არასაიმედოდ მუშაობდა და სპეციალისტებმა გამოცდაზე ეს ნაკლად ჩათვალეს. თუმცა ხარვეზები თანდათან გამოსწორდა და მართვადი რაკეტული ჭურვები ყველა საბჭოთა — რუსული ტანკის საბრძოლო მარაგში შევიდა.

რუსული წარმოების ბოლო ტანკი **T-90** აღჭურვილია ტანკსანიანალმდეგო მართვადი შეიარაღების კომპლექსი **Рефлекс-М**, რომლის შემადგენლობაში შედის 125 მმ-იანი რაკეტა **9М119 Инвар-ი**.

რაკეტა ნახევრად ავტომატურ რეჟიმში ლაზერული სხივით იმართება და 70 კმ/სთ-ში სიჩქარით მოძრავ მიზანს 0,1 კმ-დან 5 კმ-მდე დიაპაზონში მაღალი ალბათობით ანადგურებს.

თამარ ჩაჩანიძე



ამერიკული მსუბუქი ტანკი M551 Sheridan-ი



პაპანაშვილის საუფლო

(დასასრული, დასაწყისი იხ.
„არსენალი“ N15, 2013)

წყალი

ერთ გამოქვეყნებაში ფრანგები უნესრიგოდ მიმოფანტულ წყლის ტურქულს ნაანყდენ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მსგავს გამაგრებულ ადგილებში მიმალულ სულებს გაუსადისი წყურვილი ანამებდა.

ყველა ვერ უძლებდა ტანჯვას და ნ მარტს მეგაფონით დანებებისკენ მონოდების შემდეგ ლეგიონერებს ტყვედ ჩაპბარდა ბოევიკების ჯგუფი.

რა უნდა ექნათ? სიკვდილი ძნელია. დაჭრა მთლად უარესი. გაპარვაც რომ მოახერხო, გადარჩენის შანსი პრაქტიკულად არა გაქვს, ამიტომ... ლეგიონერები ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდნენ წყურვილისაგან მკვდარ ბოევიკებს. ერთ-ერთის გადარჩენას, ეტყობა, ვულთი ცდილობდნენ, გარდაცვლილის ვენაში წვეთოვანის ნემსი იყო ჩარჩენილი.

თავის დროზე, ეს ადგილი იმიტომ შეარჩიეს, რომ იქვე ახლოს წყაროა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში არ შრება. წყარო კი არის, მაგრამ წყალგაყვანილობა ყველა პოზიციამდე არ მიუყვანიათ, ხოლო წყაროზე ჩარჩენის საშუალებას ბუნებრივად არაფერი მისცემდა.

გამოსავალი არ არსებობს

თუ დანებება არ გინდა, უნდა გააღწიო. ზოგიერთ საფარში ფრანგები საბრძოლველად გამზადებულ

იარაღს პოულობდნენ. ბოევიკები იარაღს ტოვებდნენ და სამშვიდობოს მშვიდობიან მოქალაქეთა ნიღბით გაღწევას ცდილობდნენ, მაგრამ ამის შანსი მიზეზური იყო.

ფრანგული მფრინავი „ტიგრები“ მონინალმდეც ცერემონიებს არ უმართავდნენ. 3 მარტს 14 ბოევიკი ოპერაციის რაიონს სატვირთო მანქანით გაცლას შეეცადა, მაგრამ შეეუღმფრენა ამის საშუალება არ მისცა და ყველა მათგანი დახვრიტა.

ბოევიკებმა იძულებით სამხრეთისკენ დაიხიეს და არა მრდილოეთით, ალერიისკენ, სამხრეთში კი რელიეფი ბევრად რთულია და იქ სამშვიდობოს ქვეითად თუ გააღწევ.

ასე აღმოჩნდა შეეუღმფრენის დარტყმის არეალში ტიგარგარის სამხრეთ ფერდობიდან გამოშავალი მოზრდილი ჯგუფი. უწყლოდ შორს მაინც ვერ ნავიდოდნენ, წყაროსთან კი მათ არავინ მოუშვებდა. მოუხედავად ამისა, ზოგი მათგანი მაინც დააღწევდა თავის ალყას. მით უმეტეს, რომ კარგად იცნობდნენ ადგილმდებარეობას. თითო-ოროლას ადგილობრივი ტომების წარმომადგენლები დაეხმარებოდნენ და გადარჩებოდნენ, ხოლო ისინი, უისაც სიკვდილამდე ბრძოლა უნდოდათ, დარჩებოდნენ და დარჩენენ კიდევ.

დაზვერვის მონაცემებით, ამტეტეაის ველს დაახლოებით 400 ბოევიკი იცავდა და დიდი ნაწილი, დაახლოებით 250 კაცი, განადგურდა. ისინიც, ძირითადად, უცხოელები იყვნენ. მცირე ჯგუფებად მთელ ველზე გაფანტულებს ციტადელის შუაგული უნდა დაეც-



საფრანგეთის პრეზიდენტის დანიელსა ოლანდისა და მალის პრეზიდენტის დიუკუნდუ ტრაორის შეხვედრა ოპერაციის მონაწილე ფრანგ სამხედროებთან

ვათ, სადაც მომარაგების ბაზები, საბრძოლო იარაღის საწყობები და სანერტული ბანაკი იყო.

მოკლული ბევრი იყო, დატყვევებული ცოტა. ფანატკოსთა უმრავლესობა საიქიოს ფრანგი ლეგიონერის ან მედენანტის ნაყოლიებას ცდილობდა. ეს კარგად იცოდნენ ფრანგებმა და მაქსიმალური სიფრთხილით ჩხრეკენენ დამმრალი მდინარის კალაპოტსა თუ შიშის ფერდობებს, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება მინიდან ბოვეკი ამომხტარყო და რამდენიმე მეტრიდან ცეცხლი გაეხსნა.

საინტერესო შემთხვევა მოხდა იქ მარტის დასაწყისში. ფრანგების მცირე ჯგუფი ღამის გასათევად მოეწყო. იქვე, ათი მეტრის მოშორებით, ბოვეკის გვამი ეგლო. გათენებისას გვამი ოდნე შეირხა და მოკლულის ქვეშოდან ცოცხალი ბოვეკი გამოიძრა. მან მთელი ღამე გვამის ქვეშ გაატარა იმ მიზნით, რომ ხელსაყრელ მომენტში თავისი ავტომატის მჭიდი ფრანგებზე დაეცადა, მაგრამ შეცდა, ხელსაყრელი დრო ვერ შეარჩია. იგი ნამოდგომისთანავე მოკლეს. პროფესიონალები ხომ ყოველგვარი მოულოდნელობისთვის მზად არიან.

სახლვარ ეპითეპი

დასავლეთიდან ხეობის სიმაგრეს მე-3 GTIA უტყედა. 1-ლი პოლკის სახლვარ ქვეითები მოინევენდნენ AMX10RC ტიპის ბორბლებიანი ტანკებით, რომლებსაც ბოვეკებმა დიდი ნინაღმდეგობა გაუნიეს და მათაც შესაბამისი პატივი მიავეს.

მოგვიანებით სახლვარ ქვეითებმა ღირსეულად შეაფასეს მონინაღმდეგვის გააზრებული მოქმედებები. „მათ არ ეშინოდათ... ჩვენი ტანკების ნინაღმდეგ ავტომატებით მოდიოდნენ იერიშზე. ჩვენი მეტეკის დანეყებინად ერთი საათი იყო გასული და იტარგარის ველის ჩამკეტი „კარი“ ვერ კიდევ არ იყო შემტეველი. იქ თავდაცვა კარგად იყო ორგანიზებული — კლდეების თავზე 14,5 მმ-იანი სახეხიტო დანადგარები დაუყებინათ, მონეობილი ჰქონდათ მინიბუნკერები და სურსათით, წყლითა თუ საბრძოლო მასალით კარგად იყვნენ უზრუნველყოფილი.“

ბოვეკები ბრძოლაში „აელანური“ სტემით მოქმედებდნენ, რისთვისაც თვითნაკეთ ასაფეთქებელ მონეობილობებსა და ნაღმებს იყენებდნენ.

ბრძოლის დასაწყისში ნალმზე აფეთქდა ჯავშანტრანსპორტორი VAB, რასაც ჯოჯობეთური ცეცხლი მოჰყვა ყოველი მხრიდან და მანვერი, რომლითაც „ცეცხლის ტომარაში“ სახლვარ ქვეითთა მომწყვედვას შეეცადნენ.

ბრძოლისას ერთ სახლვარ ქვეითს ტყვია მუზარადში მოხვდა და სიკვდილს სასწაულგებრივად გადაურჩა. მაგრამ უკვე 16 მარტს იმავე რაიონში ერთ ქვეითს არ გაუმართლა. საბრძოლო რეიდისას ნალმზე აფეთქდა „ტანიკი“ AMX10RC და სახლვარ ქვეითთა 1-ლი პოლკის კაპრალი ვან დორენი დაიღუპა, ხოლო ეკიპაჟის სამი წევრი დაიჭრა.

დაჯგუფების შტაბის ოფიციალური ნარმომადგენლის, პოლკოვნიკ ბერპარდის აზრით, „ბოვეკები შეუპოვრად იცავდნენ პოზიციებს და უკან დახევას არ ფიქრობდნენ. თავდაცვითი ზღუდეები სანგრებით კარგად ჰქონდათ გამაგრებული და შეიარაღებულიც იყვნენ“.

თუმცა რეგულარული არმიისთვის მსგავსი თავდაცვის გარღვევა რამდენიმე საათის საქმეა. სახლვარ ქვეითებმა კარგად იცოდნენ, რომ ამტეტების ველის სამხრეთ კარიბჭის მაინც გააღებდნენ. და ასეც მოხდა. რას აკეთებდნენ ამ დროს ავი სულელები? ისინი ფრანგების საფლავში ნაყოლიებას ცდილობდნენ.

ოშის ბავშვები

ოპერაციის დანეყებინად პირველივე ღამეს გაკვირვებულმა ჯარისკაცებმა მთვარის მუქზე დაინახეს მათკენ მიმავალი ბოტი. როგორც კი გამაფრთხილებული გასროლის ხმა გაისმა, ბოტი შედგა, პერანგი არინა, რათა დაინახებინა, რომ „თვითმკვლელის სარტყელი“ არ ეკეთა და შემდეგ ხელები ასწია.

მისი მოქმედება ზუსტად დავამთხვა საფრანგეთის არმიამი მიღებული უსაფრთხოების მოთხოვნებს. საიდან უნდა სცოდნოდა მას ამის შესახებ?

გასაკვირი არაფერია, აქაური ბავშვები საკმაოდ „განათლებულნი“ არიან — იციან სროლა, ჩასაფრება და ასაფეთქებელ მონეობილობათა გამოყენება. ადრე ამ ბავშვებს ბოვეკები ინფორმაციების შესაგროვებლად იყენებდნენ.

ერთ-ერთი ლეგიონერი იხსენებდა: „ადაგომდება-

რეობის ჩხრეკისას კლდის ნაპრალებთან ოთხი ჩისაფრებული ბოვეიკი შევნიშნეთ. დაგვიანებეს თუ არა, ერთმა ავტომობილმა ჩვენს მხარეს მოაბრუნა, ეს მოძრაობა მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. დანარჩენები დაგვინებდნენ. ჩვეუნიდან გასაკვირად ორი მათგანი მოზარდი აღმოჩნდა. ისინი მაშინვე გადავზავნეს შტაბში. გაუნიეს სამედიცინო დახმარება და მოვლიანებით ნითელი ჯვრის ორგანიზაციას გადასცეს. მოზარდები ჯიპადისტებმა ძალით მორეკეს აქ. შეაიარაღეს, ტვინი გამოურეცხეს და „სალეთო ომისთვის“ მოაშვადეს.

პირველი ეტაპის შედეგები

7 მარტს შედგა ოპერაციის პირველი ეტაპის დამთავრებისადმი მიძღვნილი შეკრება. დალლილი, შხისგან აღმურმოდებული სახეები, ხორშაკისაგან დახეთქილი ტურები, თვალეზში კი უსაზღვრო სიამაყე.

თავდაცვის მინისტრის წინაშე საომარი ნადავლია გამოვლინა: ათასობით რაკეტა და ტურეი, 60 ათასზე მეტი ვაზნა, 1500 ნალიმი, 20 საარტილერიო დანადგარი — ზალაური ცეცხლის რეაქტიული სისტემა **БМ-21 Grad**-ი, სამი **122-მმ-იანი პაუზიცა Д-30**, ერთი **100 მმ-იანი ქვემეხი**; **82 მმ-იანი** და **60 მმ-იანი ნაღმსატყორცები**, ათასობით დეტონატორი და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებისთვის საჭირო მასალა. იარაღთან ერთად ფრანგ მეტროპოლეს დარჩათ დიდძალი სურსათი: ბრინჯი, შაქარი, კონსერვები, ზეთი, რძის ფხვნილი და ჩინური მწვანე ჩაი.

განადგურდა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებითა და სახენიტო ავტომატებით აღჭურვილი ორი ათეული პიკაპი. რაც შეეხება ტყვეებს, მათი რაოდენობით ვერაინი დაიტრიალებდა. ათი ტყვედ აყვანილისგან ყველასათვის მოულოდნელად, ერთი, საფრანგეთის მოქალაქე გამოდგა, გრენობლში დაბადებული 38 წლის ალჟირელი.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრდა. 18-21 მარტს ოპერაცია გაგრძელდა ამეტატადან სამხრე-

თით, ტერცის ზეგანზე. 20 მარტს იქ ერთმანეთს შეკედნენ **GTIA 3** და ჩადელები.

შესანგრეებმა იქ აფეთქეს ჭურვებით და დაზარალებული სატვირთო ავტომობილი; საკოლონალიზაციო საცავში მიაგნეს 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევს, ტანკსანიონალმდეგო დაზგურ ყუმბარსატყორც **СПГ-9**-ს, ჩინური ნარმოების 107 მმ-იანი რეაქტიული ჭურვების გამშვებ დანადგარს და სხვ.

21-25 მარტის საომარმა მოქმედებებმა ცხადყო, რომ ბოვეიკებს წინააღმდეგობის განევის ძალა უკვე აღარ შესწევდათ. მათთვის ბრძოლის შედეგები დამალუბელი გამადაა. — დაახლოებით 300 მეომარი გამოაკლდათ და მონინალმდეგეს წლობით ნაგროვები დიდძალი იარაღი და სურსათი დარჩა. განადგურდა მათი „მყუდრო“ სამყოფელი. ტვიარგარის ბრძოლამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რეველარული არმიების წინააღმდეგ პარტიზანების საფრონტო, თუნდაც თავდაცვითი ბრძოლები ყოველთვის ნამგებინაია.

ვილცამ გაპარვა მოახერხა, თავი დააღწია ალყას? არა უშეცხ. სამაგიეროდ, მას და მისთანებს არასდროს ექნებათ ამეტეტაის ველზე მყუდრო ნესაყუდეელი: სანვრთენელი ცენტრები, იარაღისა და სურსათის სანყოფები, პოსპიტლები, საფრონტო სახელოსნოები...

ბრძოლა ბოვეიკებს არ გამოუვიდათ და რაღა დარჩენოდათ, „ბრძოლის“ თავიანთ ძველ მეოედებს დაუბრუნდნენ. 25 მარტს საფრანგეთის ჯარების მალიში შეყვანის საპასუხოდ მათ სიკედლით დასაჯეს ჯერ კიდევ 2011 წელს დატყვევებული საფრანგეთის მოქალაქე.

პ.ს. ოპერაციის წარმატება განაპირობა ერთმა უმნიშვნელოვანესმა ფაქტორმაც: საფრანგეთის ყოფილი კოლონიები: მალი, ჩადი, ნიგერი, ტოგო, კოტ-დ'ივუარი, ბურკინა-ფასო, სენეგალი და ბენინი ფრანგულად ლაპარაკობენ. ამან ხელი შეუნყო ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციას და სწორი სადაზგერეო მონაცემების შეგროვებას.

მალიში ჩატარებული ოპერაციის დროს დაღუპული ფრანგი სამხედროს დაკრძალვის პროცესი



თვითმფრინავები „ატომური ბულით“

ატომური ბომბი შექმნის მის ხელშეკრულებას ჩამტვივრე ნავთობ-დრეკილი-ბომბების შექმნაზე. როგორ დაეწინაურა ატომური ბომბი და სახმელეთო პოლიტიკა და მხედრი სამხედრო ცენტრები.

ჟორჯ მარტინი იმის შესავლელ ვარაუდს სწორედ პიტერ დევიდსონთან ერთად შეასრულა სამხედრო კვლევების მუშაობის ხანაში. მარტინს დაეძინა, მაგრამ დევიდსონი არც დიდი ხან — შირი მარტინის სერაქველი დევიდსონი, ზალეცის 50-იან წლებში მომავლის შესახებ მოკლევადიან კვლევებს დაიწყო, სადა მოხდა ატომური ბომბის გამოგონება ერთ-ერთი ახლოვანი ატომური მასალის საფუძვლებით.

დევიდსონს იდეა ჰქონდა ატომური ბომბის მომზადება. 1946 წელს ამის მიზნით სახმელეთო ნაწილი შეიქმნა **WPA**, მისთვის ავთონომია მოემდგო, მაგრამ მისთვის გამოქვეყნდა თვითმფრინავი ნაწილები შენობისთვის. ატომური ბომბის შექმნის მიზნით ატომური ბომბის მომზადების მიზნით, შევსებული და სახმელეთო ავთონომიების მომზადება დაიწყო.

მომავალი ატომური თვითმფრინავის პროექტი შეიქმნა ტიტონის მიზნით. ემანუელ ბოტივიჩი კი 20-ე წელს დაიწყო ავთონომია, რომ თავის დროს და მისი განხილვის დროს სახელდას

სახმელეთო დეტონაცია მიზნობაში დაეხვეა ნომინალური პროექტი, იგი ციხის სახეობა დაეცა და რეგულაციის განხილვის მიზნით რეგულაციის შემსრულებელი მუშაობა დაიწყო.

1950-იან წლებში სამხედრო მომსახურე და 19 წლის დოქტორ დევიდსონი ზალეცის პროექტი **WPA** წინა შედეგ რეგულაციის ტიტონის სექციონისთვის იმის რადეო — მარტინი „ეი“, ხშირი კ „დევიდსონ“ ტიტონის რეგულაციის შემსრულებელი იყო რეგულაციის წინა ნაწილისთვის. შირი მარტინის რეგულაციის კვლევის და შედეგის განხილვის ხელშეწყობის მიზნით, იგი ტიტონის სახელით რეგულაციის განხილვის მიზნით რეგულაციის კვლევის ნაწილს გაეცა. მარტინი კი შირი მარტინის რეგულაციის დახმარებით რეგულაციის მომზადების მიზნით რეგულაციის უზრუნველყო.

1947 წელს ამის მიზნით ემანუელ ბოტივიჩი კი **ANP**-ის მხარდებით სახმელეთო რეგულაციის დაეწინაურა. ატომური პროექტი სრულდება ატომური ბომბის თვითმფრინავის შექმნის მიზნით.



არქივი იმის კონკრეტული სახელი „ატომური ბული“ მის მიზნობაში მისი რეგულაციის მიზნით სახელი რეგულაციის განხილვის მიზნით რეგულაციის შემსრულებელი მუშაობა დაიწყო.

1946 წელს ამის მიზნით სახმელეთო ნაწილი შეიქმნა **WPA**, მისთვის ავთონომია მოემდგო, მაგრამ მისთვის გამოქვეყნდა თვითმფრინავი ნაწილები შენობისთვის. ატომური ბომბის შექმნის მიზნით ატომური ბომბის მომზადების მიზნით, შევსებული და სახმელეთო ავთონომიების მომზადება დაიწყო.

მომავალი ატომური თვითმფრინავის პროექტი შეიქმნა ტიტონის მიზნით. ემანუელ ბოტივიჩი კი 20-ე წელს დაიწყო ავთონომია, რომ თავის დროს და მისი განხილვის დროს სახელდას

სახმელეთო დეტონაცია მიზნობაში დაეხვეა ნომინალური პროექტი, იგი ციხის სახეობა დაეცა და რეგულაციის განხილვის მიზნით რეგულაციის შემსრულებელი მუშაობა დაიწყო.

1950-იან წლებში სამხედრო მომსახურე და 19 წლის დოქტორ დევიდსონი ზალეცის პროექტი **WPA** წინა შედეგ რეგულაციის ტიტონის სექციონისთვის იმის რადეო — მარტინი „ეი“, ხშირი კ „დევიდსონ“ ტიტონის რეგულაციის შემსრულებელი იყო რეგულაციის წინა ნაწილისთვის. შირი მარტინის რეგულაციის კვლევის და შედეგის განხილვის ხელშეწყობის მიზნით, იგი ტიტონის სახელით რეგულაციის განხილვის მიზნით რეგულაციის კვლევის ნაწილს გაეცა.

1947 წელს ამის მიზნით ემანუელ ბოტივიჩი კი **ANP**-ის მხარდებით სახმელეთო რეგულაციის დაეწინაურა. ატომური პროექტი სრულდება ატომური ბომბის თვითმფრინავის შექმნის მიზნით.



„ატომურგულიანი“ თვითმფრინავის პროექტირება განსხვავებულ მიდგომას საჭიროებდა. სხვა ბომბ-დამმენებისგან განსხვავებით M-60-ის ეკიპაჟი მოათავსეს პერმეტულ მრავალფენიან კაფსულაში, რომლის კედლებიც მეტწილად ტყვიისგან იყო დამზადებული. საჭირო სისტემებთან ერთად კაფსულა თითქმის 60 ტ იყო და ტრადიციული კაბინისგან განსხვავებით პილოტებს რადიაციისგან იცავდა.

M-60-ის სახმელეთო მომსახურებაც არანაკლებ რთული გამოდგა. ძლიერი რადიაციული ფონის გამო თითქმის ყველა პროცესმა: სანავიეთი განყოფილება, შეიარაღებით აღჭურვა, ეკიპაჟის მოთავსებამ — ავტომატიზირება მოითხოვა.

ატომური ძრავები სპეციალურად დაცულ საცავებში ინახებოდა და თვითმფრინავზე უშუალოდ გაფრენის წინ ამონტაჟდებდნენ. პრობლემას ქმნიდა ძლიერი რადიაციული გამოსხივება, რომელიც თავად თვითმფრინავებსაც აბინძურებდა. ნარჩენი გამოსხივებაც იმდენად ძლიერი იყო, რომ ფრენისა და ატომური ძრავების მოხსნის შემდეგ, სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე თვითმფრინავთან მისვლა 23 თვე ჯანმრთელობისთვის საშიში იყო. ამიტომაც აეროდრომებზე სპეციალური სადგომების შექმნა იგეგმებოდა.

ატომური ბომბდამმენების გიგანტური მასა სპეციალურ აეროდრომებსა და უნიკალურ სამომსახურებო კომპლექსს საჭიროებდა. ეს ყოველივე დიდი ფინანსურ დანახარჯებსა და რთული ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას მოითხოვდა.

ერთხანს ალტერნატივად M-60-ის აშფობია ვარიანტს განიხილავდნენ. ნულიდან აფრენა-დაფრენის შესაძლებლობა კილომეტრებანი ბეტონირებული ასაფრენი ზოლის საჭიროებას სპობდა და სახმელეთო ინფრასტრუქტურასაც აპარტივებდა. 80-100 კმ-ის სანაპირო ზოლზე 4-5 თვითმფრინავის განლაგება იგეგმებოდა, მაგრამ ბაზრების ადგილის რადიაციული დაბინძურების დიდმა ალბათობამ და ტექნიკურმა სირთულეებმა პროექტი ჩიხში შეიყვანა.

მაშინ თვითმფრინავთმშენებლებმა დასახმარებლად წყალქვეშა ფლოტს მიმართეს. 1957 წელს სს-

რკ-ში წყალში ჩაუშვეს ატომური წყალქვეშა ნავი K-3, რომლის რეაქტორიც „დაბურული“ სქემით მუშაობდა.

მაისშივეი ახალ პროექტში M-30-ის ატომური „დაბურული“ ტიპის ძალური დანადგარს განიხილეს. მას აპირებდა. პარალელურად ტუპოლევი მფრინავ ლაბორატორიაზე მუშაობდა. საავიაციო ატომური რეაქტორის შექმნაში მას კურჩატოვი ეხმარებოდა. საბაზო ვარიანტად სტრატეგიული Ty-95 შეარჩიეს. მომავალი Ty-95/IAI-ის საავიაციო რეაქტივზე რადიაციული გამოსხივების მოქმედების შესასწავლად, ეკიპაჟის დაცვის მეთოდების შესაბამისებლად და „ატომურგულიანი“ თვითმფრინავის ექსპლუატაციისთვის თავისებურებათა დასაფიქრად უნდა გამოეყენებინათ.


ეკიპაჟის დასაცავად კაბინას უკან 20 სმ-ის სისქის ტყვიისა და პოლიეთილენის ეკრანი დაუყვეს. თვითმფრინავზე განლაგებული დეტექტორების ფრენის სხვადასხვა რეჟიმზე რადიაციული გამოსხივება უნდა გაეზომა. რეაქტორი ფიუნელაჟის შუა ნაწილში მოთავსდა და გარედან ტყვიის სქელი ფურცლებით დაიფარა. თვითმფრინავის ოთხ მრავასთან მას კავშირი არ ჰქონდა.

1961 წლის მაისიდან ავვისტომდე გამორთული და ჩართული რეაქტორით Ty-95/IAI-მა 34 საცდელი ფრენა შეასრულა. ეკიპაჟი საიმედოდ დაცული და რეაქტორის გამოსხივების დონეც მინიმალური იყო.

ტუპოლევის ფირმა მომავალშიც აპირებდა „ატომურგულიანი“ თვითმფრინავების შექმნაზე მუშაობას. განიხილებოდა ზებგერითი და ბგერამდელი თვითმფრინავების ათეულბობით პროექტი. ატომური ენერჯია ავიაციას დიდ პერსპექტივებს უხსნიდა, თუმცა პრაქტიკაში ყველაფერი სულ სხვანაირი აღმოჩნდა. მთავარ საფრთხეს თვითმფრინავის შესაძლო კატასტროფა წარმოადგენდა. არავინ იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა ატომურგულიანი“ თვითმფრინავის ჩამოყვარებას.

60-იანი წლების დასაწყისში წყალქვეშა სტრატეგიულმა რაკეტმზიდებმა და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურმა რაკეტებმა ატომური ბომბდამმენების იდეას ნერტილი დაუსვა.

აღმასწავლებელი ალექსანდრე ავაიძე



აღმასწავლებელი ატომური ენერჯია კოსმოსურ თანამგზავრებზე გამოიყენა, — 1965 წელს ორბიტაზე ატომურგულიანი“ ექსპერიმენტული თანამგზავრი SNAP-10A პირველად ამერიკელებმა გაუშვეს.

60-იანი წლებში სსრკ-მა UC-A/VC-PI-ის სერიის საზღვაო კოსმოსური დაზვერვისა და პასიური რადიოტექნიკური დაზვერვის თანამგზავრების შექმნა დაიწყო. ყველა მათგანზე ენერჯიას კომპაქტური ატომური რეაქტორი გამოიმუშავებდა.

კოსმოსში ატომური ენერჯია არა მხოლოდ სამხედრო მიზნით გამოიყენება. ატომური გული“ აქვს მარსზე მყოფ მარსშავალ Curiosity-სა და „ვოიაჯერის“ სერიის კლდეით თანამგზავრებს.

რიონით კორდ ქუთაისში?



რიონის კალაპოტი ქუთაისში

საქართველო მდინარია მდინარეებით, მაგრამ სა-
ნაოსნოდ ახლა არც ერთი არ გამოდგება. სულ სხვა
მდგომარეობა იყო საუკუნეების წინ და განსაკუთრე-
ბით დასავლეთ საქართველოში, სადაც ტერიტორიის
დიდი ნაწილი ტყეებს ეკავა და წყალუხვობით გამო-
ჩეულ რიონს მტერი თუ მოყვარე ქვეყანაში შემოდ-
ვისთვის იყენებდა.

რიონზე მითური არგონავტების შემდეგ 1046 წელს
ვიკინგებმა გამოცურეს და მდინარეს დინების სანინა-
აღმდეგოდ თავიანთი დრაკარებითა თუ შნეკებით სო-
ფელ ბაშაშდე (სამტრედიის რაიონი) ამოჰყენენ. ირან-
ოსმალეთის მეორე ომის დროს კი ოსმალებმა რიონით
აღმოსავლეთ საქართველოში დამატებითი ძალების
გადაყვანა სცადეს და მდინარეში თავიანთი ხომალ-
დები შემოიყვანეს.

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი
(1631-49 წლებში საქართველოში ცხოვრობდა) წერდა:
„თურქებს სურდათ ფაზისით ჩქარა და ნაკლები ზარა-
ლით გაეგზავნათ თავისი ჯარები ირანისკენ. ამ განზ-
რახვით გაგზავნეს თავისი გალერები ფაზისში. ხოლო,
როგორც კი გალერები მოუახლოვდნენ ქუთაისს, მათ
დახვდათ თოფებით შეიარაღებული ჯარი ქართველე-
ბისა, რომელიც ჩაესაფრა სადაც უფრო ვიწრო იყო
მდინარე და ისე ძლიერად დაუწყო თურქებს თოფის
სროლა ორსავე ნაპირიდან, რომ აიძულა ისინი მაშინ-
ვე თავი დაეხებებინათ თავისი განზრახვის შესრულე-
ბისთვის“.

ოსმალებმა ვიკინგებისგან განსხვავებით რიონზე
აღმა ცურვისას ჯარით დატვირთული ხომალდების
გამნვე ძალად ცხენები გამოიყენეს, რისთვისაც ფლო-
ტი ყოველმხრივ მოშადებული იყო.



არგონავტების „გალერა“



კახაბების „ჩაიკა“

„რედუტ-კალუში კომენდანტის ჩამოსვლა“
— გრიგოლ გაგარინის ნახატი

საქართველო
საქართველო



გამწვეი ცხენების ტრანსპორტირებისთვის ოსმალ მეზღვაურებს რამდენიმე ათეული სპეციალური სატვირთო გემი — at gemisi (იგივე პალანდარია) მყავდათ.

მდინარეზე ცურვის თავისებურებათა გათვალისწინებით კი ფლოტის შემადგენლობაში დიდძალი სხვადასხვა ზომის საზღვაო-სამდინარო მცურავი საშუალება შედიოდა, რომლებიც ნაპირთან ახლოს ირიბი იალქნის გამოყენებით დაცურავდნენ, ხოლო მდინარეში შესვლისას ანმა იხსნებოდა და ცურვას ნიჩბები ან ცხენების ძალა უზრუნველყოფდა.

XV საუკუნის ბოლოდან შავ და აზოვის ზღვებში თურქულ ქალაქებსა თუ ციხეებზე უშიშროება თავდასხმებით კახაკებმა სახელი გაითქვეს. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ზაპოროჟიელი და დონელი კახაკების ლაშქრობებმა თითქმის ყოველწლიური ხასიათი მიიღო და კავკასიის სანაპიროსთან ცურვისას ზოგჯერ საქართველოშიც შემოდიოდნენ.

1610-იან წლებში ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ დაახლოებით 2 ათასი კახაკი ოდიშის სანაპიროს მოადგა და იმერეთის მეფესთან შესახებედნენ 40 კახაკი თავიანთი „ჩაკით“ მდინარე რიონს აუყვა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში რუსების ჯარების შემოსვლით რიონის სანდინარო-სატრანსპორტო მნიშვნელობამ ბევრად მოიმატა. იმ დროს, როცა ფოთი თურქების ხელში რჩებოდა, რუსებს კავკასიაში დამხმარე ძალების, საბრძოლო საშუალებებისა და პროვიანტის შემოსატანად პორტი სჭირდებოდათ.

1804 წელს რუსებმა მდინარე ხობის შესართავთან

ახლანდელი ყულევის ადგილზე მინის რედუტი მოაწყვეს და დასახლებამ რედუტ-კალეს სახელი მიიღო. რედუტ-კალე პორტი არ იყო და რიეიდის დანიშნულებას ასრულებდა, სადაც ყირიმიდან შემოსული სატრანსპორტო გემები ნაპირიდან დაახლოებით 6,5-9 მ-ის დაშორებით ლუზას უშვებდნენ და ნაპირზე გადასაზიდვით ნაგებს გადასცემდნენ. შემდეგ იწყებოდა სახმელეთო გზა. ურმებს ტვირთი რედუტ-კალედან 13 კმ-ით დამორებულ და რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელ ნაბადაში აგებულ სიმაგრე რიონსკამდე გადაჰქონდათ. რიონსკამდე ტვირთი ადგილობრივ მცხოვრებთა ბრტყელონა ნაგებზე გადაჰქონდათ და სოფელ ბაშამდე ან ვარციხემდე (ბაღდათის რაიონი) ეზიდებოდნენ. ეს საქმე რიონისპირა მოსახლეობის შემოსავლის წყაროდ იქცა. ნიკო ნიკოლაძის მონაცემებით რუსების სახმელეთო ტვირთის გადაზიდვით არანაკლებ 200 ნაეი იყო დაკავებული. ნაგები სიგრძეში 17 მ-ს აღწევდა და სრული დატვირთვისას წყალზედომი 1 მ-ს არ აღემატებოდა, ხოლო ტვირთამწეობა 800-დან 1500 კგ-მდე მერყებოდა.

1805 წელს ცხენისწყალის რიონთან შეერთების ადგილზე სოფელ მარანთან (ახაშის რაიონი) რუსებმა ახალი სიმაგრე ააგეს და იქ საგუშაგოსთან ერთად სურსათის საწყობი განათავსეს. დინების საწინააღმდეგოდ რიონსკამდე მარანამდე ცურვას ნაგები ტვირთი 5-6 დღეს ანდომებდნენ, ხოლო უკან დაბრუნებას 2 დღე სჭირდებოდა. ცურვას სირთულეები არ აკლდა — დინების სიქარი, ყორომები, კალაპოტის ცვილილება, აგრეთვე წლის ნამოღებული ხეები, მინა თუ ქვები, მენავეებს ბევრ დაბრკოლებას უქმნიდა.

წყალბოლ ადგილებში, სადაც ცურვა შეუძლებელი იყო, ნაევებს ტვირთიანად ხელით მიათრევდნენ. მდინარეზე აღმა ცურვისას გამწვევი ძაღვის მოვალეობას მეტწილად მენავეები ითავსებდნენ. ეს ძველი და პრობმატურად საქმე იყო, როსთვისაც მენავე ნაპირიდან გადმობრლი ხეების ტოტებს იშველიებდა, ხოლო იქ, სადაც ამის საშუალება არ იყო, დატვირთულ ნაეს ქაზინო მიათრევდა. ასე კი ერთ სთ-ში 1 კმ-ზე ცოტა მეტის ვაფლა ძლივს ხერხდობოდა.

საკმაოდ რთული სატრანსპორტო პროცესის ვასამარტყევილად საქართველოს მთავარმმართველ ჰაელ ციციანიის ბრძანებით ფოთის გვერდის ავლით გაიჭრა პატარა არხი, რომლითაც რედუტ-კალე ხობის-ფლითა და ციკით სოფელ ქალაქიდითან რიონს დაუკავშირდა. თურქების ზურგში მოქცეულმა ქალაქიდიმ სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა და მის დასაცავად რუსებმა იქ 350-კაციანი გარნიზონი ჩააყენეს.

რიონზე ნაოსნობის დაწყებამ ნავმშენებლობაც გამოაცოცხლა. სოფელ ვარციხესთან დონდელმა კაზაკებმა ნავსაშენი გამართეს, სადაც იალქნიან 12-ნიშბიან (პატარა) და 20-ნიშბიან (დიდი) ნაევს ავებდნენ. პატარა ნაევი 3-გვირვანქანი (65 მმ-იანი), ხოლო დიდები კი 6-გვირვანქანი ფლაკონტებით (90 მმ-იანი) იყო აღჭურვილი. ნაევი ზღვაში იალქნებით და მდინარეში კი ნიშბების დახმარებით დაცურავდნენ.

ყირიმის ომის (1854-55 წლები) დაწყების წინ კაზაკებმა ვარციხეში 16 ნაეი ჰყავდათ, მაგრამ 9 მათგანი დაკარგეს. დარჩენილი 2 დიდი და 5 პატარა ნაევით სოფელ ქალაქიდიდან კაზაკებმა რიონის ფლოტილია ჩამოაყალიბეს. ფლოტილის დანიშნულება ბათუმსა და რედუტ-კალეს შორის თურქულ სიმაგრეებზე საეკვიპისა და დამხმარე ძალების მისოდების მოშლა და პატარა-პატარა სადესანტო რაზმების გადასხმა იყო. მცირერიცხოვნობის მიუხედავად, რიონის ფლოტილიამ ეფექტური მოქმედებებით თურქებს მძიმე დარტყმები მიაყენა და სანაპირო ზოლში, ფაქტობრივად, ნაოსნობა მოშალა. თურქული საფოსტო თუ სატვირთო გემები ცურვას მხოლოდ ორთქლმავალ გემებზე ბუქსირით ჩაბმულები ბედავდნენ.

ზღვაზე დაკვირვებისა და კავშირის კარგი სისტემით კაზაკები საფრთხიდან თავის დახსნას ყოველთვის ახერხებდნენ.

უგზობა დასაღვლეთ საქართველოში დიდ სირთულეებს ქმნიდა და მისი გაუმჯობესებით უპირველესად სამხედროები იყვნენ დაინტერესებული.

რიონზე არსებული მდგომარეობის შესასწავლად მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის განკარგულებით 1857 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში ქუთაისის ყოფილი სამხედრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი ნიკოლაი ივანოვი ჩაუდგა. კომისიის მუშაობაში ასევე მონაწილეობდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბი.

კომისიის მონაცემებით რიონში გუბინსკის ჩადენების ადგილდანი (სოფელი ბაში) ზღვაში მიერთების ადგილამდე 102 ვერსზე (დაახლოებით 110 კმ) ყველაზე მცირე წყლის დროსაც კი ფარვატერის სიგანე 10-15 საფეი (21-32 მ) და სიღრმე 4-26 ფუტი (1,2-8 მ) იყო. ასევე აღნიშნული იყო ის ადგილები, სადაც ფარვატერი 10-17 მ-მდე და წყლის სიღრმე 1,0 მ-მდე მცირედავდა.

კომისიამ რიონზე ნაოსნობის ვასახსნულად 1856 წელს ოდესაში დაარსებული კერძო სანაოსნო კომპანია „როსიისკოე ობშჩესტვო პაროხოდსტვორსკი ტოტმალ გოვლ“ მოიწვია. საზოგადოების დირექტორს მსკინსკი ლაი ნოვოსელსკი დეტალეს გაეცნო და თავის პირობები წამოაყენა. ის ჰპირდებოდა რიონის გაყოლებას ჯეყვლან მაღაზიების გახსნას, ხოლო ფოთში, სამტრედიასა და სუციქკაში (აბაშის რაიონი სოფელი სუჯუნა) ნავსადგურების მოწყობას. ამ ორ უკანასკნელში ღია ტომის მუნებების აგება იყო ჩაფიქრებული. ნიკოლაი ნოვოსელსკის ბრძანებით 1857 წელს დაიწყო რიონის სოლოლტის გასუფთავება, რათა მასზე მოცურავე გემებს საფრთხე არ შექმნოდათ.

1858 წლის მაისში ოდესურმა საზოგადოებამ რიონზე ნაოსნობის თანხმობა მიიღო და ფოთსა და სოფელ ორპირს (სამტრედიის რაიონის სოფელი საჯავახო) შორის ცურვას 110 ტ წყალწყეის სანიჩზე, ბორბლებიანი, საბუქსირო ორთქლმავალი გემი „აკერმანი“ შეუდგა. საზღვაო გემებისგან განსხვავებით სამდინარო გემს განიერი, ბრტყელი ფსკერი და პატარა წყალჯდომი აქვს. 33,5 მ სიგრძის „აკერმანის“ წყალჯდომი 1 მ-ს არ აღემატებოდა და მაქსიმალური სიქსარე 7 კვანძი ჰქონდა, თუმცა რიონზე ცურვისას, ალბათ, 4-4,5 კვანძზე მეტ სიქსარეს ვერ ახერხებდა.

1863 წელს რიონში ახალი გემი — სევასტოპოლში აგებული, ორგემბანიანი, სანიჩზე, ბორბლებიანი, სამგზავრო-საბუქსირო ორთქლმავალი „კინაზ ბარიატინსკი“ გამოჩნდა. სიგრძეში „აკერმანზე“ თითქმის 10 მ-ით მეტ „ბარიატინსკის“ 9 კვანძის ჩვენება შეეძლო,

ვიკინგების დრაკარი



მაგრამ რიონის ფარვატერის სირთულის გამო ასეთ სიჭარბეს ვერ განავითარებდა.

1860 წელს ნოვოსელსკიმ ფოთსა და ორპირს შორის სამგზავრო-საფოსტო მიმოსვლაზე დამატებით ვადღებულელები იკისრა, რისთვისაც ორი წლით სესხვად 140 ათასი რუბლი აიღო. სესხის ფრული დაფარვა არ მოხერხდა, მაგრამ ნოვოსელსკიმ იმდენი მაინც შეძლო, რომ 1864 წელს რიონზე ნაოსნობის უფლება თავისი ვალებით ოდესელ მეორე გილდიის ვაჭარს, სუფორცოვს გადაულოცა. მასობის საზღვაოდობის ახალი მფლობელი მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა და რიონის ფლოტს 1868 წელს 15 ტ წყალწყის სამგზავრო ორთქლმავალი კატარა „ნადევდა“ შემატა.

1869 წლისთვის რიონზე გემების მიმოსვლის განრიგი ახტ გამოიყურებოდა: ფოთიდან გასვლა სამშაბათს, სუთშაბათს, პარასკევსა და შაბათს დღის 7 სთ-ზე, ხოლო ორპირიდან კი — ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათსა და კვირას დღის 8 სთ-ზე. დილით დანყებულ რეისები ჩვეულებრივ შუადღისას მთავრდებოდა.

საბმელით გზასთან შედარებით რიონზე მგზავრობა ბევრად მოსახერხებელი იყო, მაგრამ მოსახლეობაში მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. მიზეზი, ალბათ, სიღარიბე და მგზავრობის მაღალი ღირებულება იყო. ფოთიდან ორპირამდე მგზავრობა I კლასის კაუტით — 4 რუბლი, III კლასით კი I რუბლი და 75 კაპიკი ღირდა. პირიქით, ორპირიდან ფოთამდე მგზავრობა I კლასი — 3 რუბლი და III კლასი კი I რუბლი უფლებოდა. მოსახლეობისთვის ეს დიდი თანხა იყო, როცა პური 5 კაპიკი, ხოლო ვირვანჯი ხარისხიანი ფქვილი (დაახლოებით 0,5 კგ) 6 კაპიკი ღირდა.

1873 წელს ფოთამდე რკინიგზის გასასრით რიონმა სანაოსნო ღირებულება დაკარგა და მასზე გემების მიმოსვლა შეჩერდა, თუმცა გამოიციხული არ არის, რომ მიზეზი დაბალი შემოსავლებიც იყო. მართალია, მდინარეზე ნაოსნობა შეწყდა, ფარვატერიც არ იმშინებოდა, მაგრამ გემების ცურვა ერთხანს კიდევ შესაძლებელი იყო. 1877 წელს თურქეთთან ომის წინ ფოთიდან ორპირამდე საბუქსიერ გემმა ორი ბარგი აიყვანა.

1918 წელს რიონზე ნაოსნობის აღდგენასა და სამხედრო ფლოტის შექმნის საქითხს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა დაუბრუნდა. ეს პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა, მაგრამ მთავ-

რობა ამის დამტკიცებას ეკონომიკური მოსაზრებებით ცდილობდა და არგუმენტად რიონში კიდევ რვაოდენობით დარჩენილ კატარებსა და მარტებს ასაყენებდა. ნაოსნობის აღდგენის წინა პირობად კი მდინარის ფარვატერების შესწავლა, სიღრმეების გაზომვა და საჭირო ადგილების გაღრმავების აუცილებლობა დადგა. მასათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები კი ფოთის პორტს შეჭრდა, მაგრამ რუსული ოკუპაციის გამო მაშინ ამ ინიციატივის ბოლომდე მიყვანა არ მოხერხდა.

20-იანი წლების პირველ ნახევარში რიონზე სამგზავრო-სატვირთო ცურვის აღდგენა გადაწყდა, კეთდებოდა მისი ტექნიკურ-ეკონომიკური და მოსალოდნელი ეფექტურობის გათვლები. საკითხით საქართველოს იმდროინდელი კომუნისტური ხელისუფლებაც დაინტერესდა და 1926 წლის იანვარში რიონზე ნაოსნობის აღდგენის საქითხს შესასწავლად საგანგებო კომისია შექმნა. კომისიის გაანგარიშებით მდინარეზე მარტები სახის 22 ნავსადგურის აგება იქნებოდა საჭირო, რასაც სჭირდებოდა ფული, რომელიც სოფლებსა და ქალაქებს მტვირთვით უნდა გაეკლათ.

სამგზავრო-სატვირთო გადაზიდვებისთვის 350 მგზავროსა და 6 ათასი ფუთი (დაახლოებით 100 ტ-მდე) ტვირთის ტევადობის 2 გემის გამოყენება იყო დაგეგმილი. კომისია მარგანეცის გამოკლებით წლიურად 26 მლნ ტ-ის გადაზიდვას ვარაუდობდა, რისთვისაც საბუქსიერ გემებისა და 4 სატვირთო ბარგის (ტვირთამშენობა დაახლოებით 200 ტ) შექმნა საკმარისად ჩათვალა.

იმ წლებში საქალაქთაშორისო სამგზავრო ავტოტრანსპორტი ჯერ კიდევ არ იყო და ამის მოუხდევად სამდინარო ტრანსპორტი მგზავრობის სიმრავლით არ გამოირჩეოდა. მაგალითად, 1931 წლის 10 თვეში სულ 7 ათასი მგზავრი გადაიყვანეს — ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია და სამგზავრო გადაზიდვებს თავიდანვე ნამგებთან მდგომარეობაში ჩააყენებდა.

30-იანი წლების დასაწყისში რიონზე ფოთიდან სოფელ კოდრამდე (აბაშის რაიონი) ჯერ კიდევ დაცურავდნენ ძველი გემები „შალვა ელიავა“ და „პირმშო“.

მომდევნო წლებში რიონზე აგებულმა ჰიდროტექნიკურმა ნაგებობებმა მისი, როგორც სამდინარო-სატრანსპორტო მაგისტრალის მნიშვნელობა მეტად შეამცირა და ნაოსნობაც შეწყდა.

თეზურ ჩანაწერი

გერმანული მხატვრის თეოდორ ვეზერის გრაჟურა ფოთის პორტი 1878 წ.





ბიოლოგიური იარაღი: XXI საუკუნის მთავარი საფრთხე

(დასასრული, დასაწყისი იხ.
„არსენალი“ N15, 2013)

ნანალი მეორე

ბიოლოგიური იარაღის ნარმოება აშშ-ში

ორი სუპერსაბელმნიფო – საბჭოთა კავშირი და ამერიკა ბიოლოგიური იარაღის შექმნაში ერთმანეთს არ ჩამორჩებოდნენ. აშშ-ში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი-სანარმოო სამუშაოები განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გააქტიურდა. ამის მიზეზად ამერიკის ხელისუფლებაც, საბჭოთა პოლიტიკოსი არ იყოს, „ციე ომს“ ასახელებდა.

1975 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა ცენტრალური სადაზვერუო სააგენტოს (ცსს) საქმიანობის შემსწავლელი რამდენიმე კომისია შექმნა. ერთ-ერთ კომისიას სენატორი ჩერჩი ხელმძღვანელობდა. საიდუმლო დოკუმენტების შესწავლის შემდეგ სენატორების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ერთი განსაკუთრებით საიდუმლო ოპერაცია ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებისთვის მზადყოფნას ეხებოდა. გაირკვა, რომ ცსს გეგმავდა კონგოს (ამჟამად ზაირის) ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის

ხელმძღვანელის, პატრის ლუმუმბას ლიკვიდაციას ბაქტერიების გამოყენებით. ამ ოპერაციას, რომლის ჩატარების სიტყვიერი ბრძანება უშუალოდ აშშ-ის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა გასცა, საერთო ხელმძღვანელობას ცსს-ს დირექტორი ალენ დალესი უწევდა. ლიკვიდაციის გეგმა ითვალისწინებდა ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომ ამერიკის სპეცსამსახურების კვალი არ დარჩენილიყო. მომზადებული საშუალებები ლუმუმბას საქმელში იყვნენ ჩაყვარათ ან მის კბილის პასტაში მოეთავსებინათ.

ცსს-ს ოპერატიული სამართველოს უფროსს, რიჩარდ ბისელის მრჩეველს სამეცნიერო საკითხებში, განათლებით ბიოქიმიკოს ჯოზეფ შეიდერს, დაავალეს, გამოედებნა შესაბამისი ბაქტერიოლოგიური საშუალებები. ამგვარი სასიკვდილო ბაქტერიები (ტულერამიის, ბრუცელაოზის, ტუბერკულოზის, ციმბირის წყლულის და სხვ.) მრავლად იყო შენახული აშშ-ის სახმელეთო ჯარების ერთ-ერთ ქიმიურ ლაბორატორიაში. შრეიდერმა ერთი შეარჩია და 1960 წლის სექტემბერში თავად ჩაიტანა კონგოში.

პატრის ლუმუმბას უსაფრთხოებას გავროს ცისფერჩაფხუტჩანები იცავდნენ და მის გარემოცვაში შეღწევა ცსს-ს აგენტებმა ვერ შეძლეს. ამასობაში სინჯარაში მოთავსებულ მომავლედებულ ბაქტერი-



ოლოგოურ ნაერთს მოქმედების ვადა გაუვიდა და ამიტომაც შეიდეგმა 5 ოქტომბერს კონგო დატოვა. 1975 წელს მან ჩერჩის კომისიას განუცხადა, რომ გამოუყენებელია ვადაგასული ბიოიარაღი მდინარეში გადავადო. ამგვარად დასრულდა ეს გახმაურებული ოპერაცია და ბაქტერიების გამოყენება პოლიტიკური მკვლევებისთვის არ შეედა.

ექვევარება, რომ ამერიკელები ამის შემდეგაც აგრძელებდნენ ამ მიზნით მუშაობას, საინფორმაციო-კვლევითი და სანარმოო საქმიანობას. თუმცა ერთმა შემთხვევამ ნერტილი დაუსვა (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური ინფორმაციით) აშშ-ში ბიოიარაღის შექმნის სამუშაოს.

1969 წელს აშშ-ის ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიიდან შემთხვევით გამოტანილმა ბაქტერიებმა ახლო მცხოვრები ფერმერის ცხერის ფარა ერთიანად ამოწყვიტა. ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ აშშ-ის კონგრესმა ოფიციალურად აკრძალა ბიოლოგიური იარაღის წარმოებაზე მუშაობა. თუმცა რუსეთის მასშტაბით დღესაც თავგამოდებით იმეორებს კა-გა-ბემი თითქმის ოცდაერთი წლის წინ შექმნილ ერთ დეზინფორმაციას.

საბჭოთა-რუსული პროპაგანდის მტკიცებით, 1980 წელს აშშ-მა კუბის წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღი გამოიყენა, რასაც დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა. ამ ვერსიის თანახმად, ამერიკის დაზვერვას შეუსწავლია კუბის ეკონომიკა, დაუდგენია, რომ ძირითად საექსპორტო შემოსავლებს ფიდელ კასტროს რეჟიმში შაქრის ლერწმისა და ღორის ხორცის ექსპორტით იღებდა. ამიტომაც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს კუბაზე ფართულად გაუერთიანებელი ღონისძიება და შაქრის ლერწმის ინფექციური დაავადების გამოწვევი ბაქტერიები. კა-გე-ბესა და კუბის სპეცსამსახურის მტკიცებით, ამერიკელებმა მომაკვინებელი ბაქტერიებით დაავადებული კილოები ჰავანის აერო-პორტში გაუშვეს. ამის შედეგად, როგორც ამ ვერსიის აქტიური მხარდამჭერები აცხადებენ, კუბაში ღორები სულ განკვეტილან, ხოლო შაქრის ლერწმის მოსავლის 80% განადგურებულია.

გაუცხვავა ამერიკაში

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკაში ბაქტერია საბჭოთა საზღვრო-ბიოლოგიური კვლევების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ინსტიტუტ „ბიოპრეპარატის“ დირექტორის მოადგილე, ყაზახი პროფესორი კენატან ალიბეკოვი. მან კუნძულ კოზროფენის და სტეპნოვოგორსკის საიდუმლო სამეცნიერო-სანარმოო პროგრამებში ამერიკის ხელისუფლებას გაუჩილა.

მთირა ღონისძიება: კენატან ალიბეკოვი, დაიბადა 1950 წელს ყაზახეთში. 1975 წელს დაამთავრა ტომსკის სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო ფაკულტეტი ეპიდემიოლოგია და ინფექციურ დაავადებათა საეციალოში. სახელმწიფო განაწილებით მუშაობა დაიწყო სსრკ-ის მინისტრ-

